F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

№ 8. 15 სექტემბერი, 1921 წელი. № 8.

## ბოლშევიკების პასუხი.

ბოლშევიკები იძულებული გახდენ პასუხი გაეცათათ მე-2 ინტერნაციონალის წინადადებაზე საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანისა და შეურეული კომისიის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ.

როგორია წითელი იმპერიალისტების პასუხი?

მარა ჯერ გავიგოთ, რას მოითხოვდენ მოსკოვისაგან?

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 10 აპრილს თფილისში შესდგა დიდი სოციალ-დემოკრატიული კრება, რომელმაც მიიღო ვრცელი რეზოლიუცია ოკუპაციის მიერ შექმნილი მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე პარტიულ ტაქტიკის შესახებ. კრება გამოდიოდა რა ე. წ. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა და საერთოდ ბოლშევიკების საჯარო განცხადებებიდან,—რომ ისინი დაიცავდენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, საჩქაროთ შექმნიდენ ადგილობრივ წითელ არმიას, რომლის შემდეგ რუსის ჯარს გაიყვანდენ, მოახდენდენ მშრომელი ხალხის თავისუფალ არჩევნებს, თავის მუშაობას და მოქმედებას შეუფარდებდენ ქვეყნის თავისებურ პირობებს—იგი (კრება) უარყოფდა შეთქმულებითი მეთოდებს, საბჭოთა დაწესებულებების ბოიკოტსა და საბოტაჟს და წინადადებას იძლეოდა, რომ დასავლეთ ევროპის სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან შემდგარიყო კომისია, რომლის ხელმძღვანელობით მოხდებოდა «თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხის ნების გამოსახატავად».

ამ რეზოლიუციამ მოიარა მთელი ევროპის სოციალისტური პრესა. მის შესახებ დაიბეჭდა მრავალი წერილები და შენიშვნები. ევროპის მუშებს ვერ წარმოედგინათ, რომ ეს ლოიალური და უაღრესათ სამართლიანი მოთხოვნილება ქართველი სოციალ-დემოკრატებისა ვისმესგან წინააღმდეგობას გამოიწვევდა. მით უფრო უდავოთ მიიჩნიეს ის, რომ ბოლშევიკებმა ევროპაში თითონ გაავრცელეს ხმა, თითქოს საქართველო კი არ დაიპყრეს მათ რუსის ჯარის საშვალებით, არამედ აქ მოხდა შინაური გადატრიალება და დემოკრატიული რესპუბლიკა დასცეს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა. და აი, როცა მუშათა ევროპის გუშინდელი მართველი პარტიისაგან—საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, მოესმა მოთხოვნილება მშვიდობიანი და კულტურული გზით პატარა ხალხის სვებედის გამორკვევისა, როცა ამ გამოძახილში მან დაინახა მუშათა კლასის ერთი უძველესი და უდავო დებულება—ერთა თვითგამორკვევის უფლება—თვით დასავლეთ ევროპის კომუნისტებიც კი შედრკენ და საქართველოს წინააღმდეგ კამპანია შესწყვიტეს. სხვა შემთხვევებში მეტად ფხიზელი და მგრძნობიარე ევროპის კომუნისტური პრესა ჩაჩუმდა, რაიც იმის მომასწავებელი იყო, რომ წამოყენებული მოთხოვნილების წინააღმდეგ სათქმელი მას არაფერი ქონდა. ამაზე უფრო შორს წასვლა კი მოსკოვისაგან ყოველმხრივ დამოკიდებულ კომუნისტებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ. თუმცა იყო შემთხვევები, როცა წინადადებას პირდაპირ შეუერთდენ ზოგიერთი მოკომუნისტო ჯგუფებიც. ასე მოიქცენ მაგალითად ბოლშევიკების ინგლისელი მეგობრები, როცა მათ სხვებთან ერთად ხმა მისცეს საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანისა და რეფერენდუმის მოხდენის წინადადებას; ასევე მოიქცა იტალიის სოციალისტური პარტია, რომელიც ფორმალურათ მე-3 ინტერნაციონალში შედის და მისი ცენტრალური ორგანო «ავანტი», როცა ამავე მოთხოვნილებას თავის სოლიდარობა გამოუცხადეს. რაც შეეხება სოციალისტურ და პროფესიონალურ ევროპას, არ დარჩენილა არც ერთი პარტია, არც ერთი ჯგუფი, რომ ქარ-

F8343

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი სოციალ-დემოკრატების წინადადებისათვის მხარი არ დაეჭიროს და ბოლშევიკების ძალადობა საქართველოზე სასტიკათ არ დაეგმოს. გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რომ მუშათა ევროპამ საქართველოს საქმე თავის საკუთარ საქმეთ გაიხადა და მისი ტლანქათ შელახული უფლების აღდგენა თავის მოვალეობათ გამოაცხადა. ის არ დაკმაყოფილდა ზოგადი კამპანიით და ინგლისის 5 მილიონიანი მუშათა პარტიის ინიციატივით ევროპის სოციალისტებმა მოსკოვს წინადადება მისცეს გაიყვანოს საქართველოდან საოკუპაციო ჯარები და შესდგეს შერეული კომისია სოციალისტებისა და კომუნისტებისგან რეფერენდუმის მოსახდენათ. რომ საკითხს კიდევ უფრო პრაქტიკული ხასიათი მისცემოდა—სოციალისტების მხრივ არჩეულ იქნენ მომავალი კომისიის წევრები.

ჯერი მოსკოვზე მიდგა.

და აი, დღეს წინ გვიდევს მისი პასუხი, უკეთ რომ ვთქვათ მისი აგენტების პასუხი.

ქართული «კომუნისტი»-ს 14 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ვრცელი განცხადება ე. წ. საქართველოს რევკომისა და კომპარტიის ცეკას ხელის მოწერით. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ორსახიანი იანუსი ვერ ბედავს მიიღოს ევროპის სოციალისტთა წინადადება და წარსდგეს ქართველი ხალხის სამსჯავროს წინაშე. მარა ეს გარემოება მოსკოვის აგენტებს სრულიად არ უშლის ხელს იმაში, რომ ქართველი მუშა და გლეხი თავის მომხრეთა სიაში ჩასწერონ და ამნაირათ საქართველოს მშრომელ ხალხს ასე უტიფრათ საშინელი ცილი დასწამონ. «6 თვის განმავლობაშიო—სწერენ ისინი—არ ყოფილა არა თუ არც ერთი აჯანყება, არამედ უბრალო დემონსტრაციაც კი, ანუ უკმაყოფილების გამოხატვა მუშებისა და გლეხების მხრით საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ (ხაზგასმული ყველგან ჩვენია. ავტ.) საქართველოს თუგინდ რომელიმე კუთხეში».

აქ რამდენი სიტყვაა—იმდენი სიყალბეა.

აჯანყება რომ არ ყოფილა ეს სრულია ადვილი გასაგებია. თვით სოციალ-დემოკრატიამ მოუწოდა ხალხს თავი დაეჭირა აჯანყებისაგან, რომელიც შესაძლებელია ძალიან სურდეთ ჩეკისტებსა და პროვოკატორებს, რომ რუსის მრავალ-რიცხოვანი ჯარების საშვალებით სისხლში ჩაახრჩონ ქართველი მშრომელი ხალხის შეგნებული და შეკავშირებული მოძრაობა. აკი მათ თითონვე მოაწყვეს ქუთაისში გეგეჭკორზე თავდასხმა! ქართველი ხალხი პოლიტიკურათ იმდენათ მომწიფებული კი არის, რომ მან არ აირჩიოს ბრძოლის ის საშვალება, რომელიც გამარჯვებას მტერს მიანიჭებს, ხოლო მის ძალებს დაქსაქსავს. ეს გარემოება მხოლოდ ქართველ ბოლშევიკებს შეეძლოთ თავის აქტივში ჩაეწერათ!

ვისი მოტყუება სურთ ამით გამყიდველებს?

ან ვინ უნდათ დააჯერონ, როცა უსირცხვილოთ სწერენ, თითქო უბრალო უკმაყოფილებასაც კი ადგილი არ ქონებოდეს ჩვენში?

პირველი დღიდანვე ზიზღით და პროტესტით შეხვდა ქართველი ხალხი დამპყრობელებს. ყოველ ფეხის გადადგმაზე ბოლშევიკებს სახეში აფურთხებენ. ოკუპანტების 6 თვის ბატონობა საქართველოში—ეს პროტესტებისა და დემონსტრაციების განუწყვეტელი ეპოპეიაა. და რაღა უნდა მოეთხოვოს იმ ხალხს, რომელიც იძულებულია ეს აშკარა ფაქტიც კი უარყოს? ასეთ დაცემამდი მეფის «ოხრანკის» ჯაშუშებიც კი არ მისულან! განა საბრალონი არ არიან ისინი, რომ ამავე დროს საზიზღარნიც არ იყვნენ? სჩანს მახარაძე-ორახელაშვილებს და კომპანიას კარგათ შეუთვისებია ზნე-ჩვეულება თავის სახელოვანი მრევლის—ქურდ-ბაცაცებისა და ყაჩაღების, რომლებითაც დღეს ავსებულია კომპარტიის ორგანიზაციები და რევკომის დაწესებულებანი!

მოსკოვის უხეირო ადვოკატები სწერენ:

«კომიტეტი მაკდონალდის მეთაურობით მე-2 ინტერნაციონალის მომართვაზე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ის არჩევდა საქმე ქონოდა და ეპასუხა მას თვით პატრონისთვის, ე. ი. ანტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის იმპერიალიზმთან, ვიდრე ამ იმპერიალიზმის ფარეშთან და გლადიატორებთან».

ეს პასუხი ზედ-გამოჭრილია მის ავტორებზე. ოსმალთა ფაშების მოკავშირეებს, აღმოსავლეთის ნახევრათ ველურ ტომების სულიერ მეგობრებს, რასაკვირველია, ურჩევნიათ საქმე ქონდეთ ევროპის იმპერიალისტებთან, ვინემ შეკავშირებულ სოციალისტურ პროლეტარიატთან! მათ ეთაკილებათ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვ. ქვეყნების მუშათა პარტიებთან ლაპარაკი საქართველოს შესახებ, ამავე დროს მოსკოვის ოფიციალური თუ არა ოფიციალური აგენტები მუხლს იდრეკენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა დიპლომატიის წინაშე, რომ უკანასკნელმა საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება იკადროს. კრემლის დიქტატორებს კარგა ხანია დაავიწყდათ რევოლიუციაც, სოციალიზმიც და პროლეტარიატიც. ისინი დღეს მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ: შეირჩინონ ძალა-უფლება რათაც უნდა დაუჯდეთ. ამისთვის ელოლიავებიან ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიას, ამავე მიზნით ეწევიან ისინი დამპყრომ იმპერიალისტურ ომებს პატარა ერების წინაალმდეგ. და ამიტომაა წითელი იმპერიალისტებისათვის მიუღებელი ინტერნაციონალის წინადადება საქართველოს შესახებ. ევროპის მუშათა კონტროლი გამოარკვევდა ქართველი ხალხის სულისკვეთებას და მასთან ერთად ცხადყოფდა ბოლშევიკების საშინელ დანაშაულს.

ბოლშევიკებმა ეს კონტროლი უარყვეს.

მით უარესი მათთვის.

ქართველმა მშრომელმა ხალხმა და მისმა ავანგარდმა მუშათა კლასმა კარგათ იცოდა, რომ ბოლშევიკები, რომელნიც ჩვენში შემოიჭრენ ავაზაკურათ და ქურდულათ—ეს ბოლშევიკები უცბათ ვერ გადახალისდებოდენ და კულტურულ გზას ვერ დაადგებოდენ. ამ მხრივ ქართველ საზოგადოებას არავითარი ილიუზია არ ქონია. საჭირო იყო მხოლოდ ევროპის მუშათა კლასს და მთელ განათლებულ კაცობრიობას პატარა საქართველოს მაგალითზე დაენახა ბოლშევიზმის გახრწნილი ბუნება, მისი იმპერიალისტური და რეაქციონური სახე. ზემოთ აღნიშნული პასუხი ამ მხრივ ფანტავს ყოველგვარ ეჭვებს.

ამიერიდან ყველას ეცოდინება, რომ საბჭოთა რუსეთმა ძალით დაიპყრო საქართველო, რომ აქ მის მიერ დამყარებული ძალაუფლება არის ხიშტზე დაყრდნობილი ოკუპანტების ძალა-უფლება, რომ ქართველ ხალხს მასთან არაფერი საერთო არ აქვს.

ბოლშევიკები ამ ფაქტს დღემდი უმალავდენ ევროპის მუშებს. მათი მოყიდული აგენტები ავრცელებდენ ჭორებს, თითქო აჯანყებული მუშებისა და გლეხების საშვალებით ჩაიგდეს მათ ხელში ძალა-უფლება. ამ ზღაპარს ეხლა თითონვე ულებენ ბოლოს. ევროპის სოციალისტების წინადადებით ჩიხში მიმწყვდეულნი—ისინი იძულებული არიან მთელი ქვეყნის წინაშე დაადასტურონ მათი საქართველოში შემოსვლის წმინდა იმპერიალისტური ხასიათი. ამ გარემოებას ქართველი ხალხისა, დღევანდელი ბრძოლისა და მისი მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის გაზრდის დაპყრობილ საქართველოს მეგობართა რიცხვს, ხოლო საბჭოთა რუსეთს დაუკარგავს იმ მცირე გავლენასაც კი, რომელიც მას დღემდი ქონდა ევროპის მუშათა ზოგიერთ წრეებში. ამ ფაქტის ძალას მალე იგრძნობენ ბოლშევიკები.

ქართველი ხალხი კი გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს მოძალადეთა წინაალმდეგ ბრძოლას, აღჭურვილი მთელი ქვეყნის სიმპატიით და დარწმუნებული იმაში, რომ გამარჯვება ამ ბრძოლაში მას დარჩება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა ხალხებს.

ჩვენ მოგმართავთ ქართველი ხალხის სახელით, იმ ხალხის, რომელიც კვნესის დამპყრობელთა მძიმე უღელ ქვეშ, რომელიც უსაშინელეს გაჭირვებას განიცდის შიმშილის, ტიფის, ხოლერის, შავი ჭირის და სხვა ათასი უბედურებისაგან, და ყველა ამით უკიდურეს სასოწარკვეთილებამდეა მიყვანილი.

საქართველოს რესპუბლიკის სამი წლის დამოუკიდებელ არსებობის ხანაში ჩვენმა ხალხმა არ იცოდა რა იყო შიმშილობა და ეპიდემიები. მაგრამ ყოველივე შეიცვალა ამ ექვსი თვის განმავლობაში ე. ი. მას აქეთ, რაც ბოლშევიკებმა აღმოსავლეთში, თავის იმპერიალისტური პლანების განსახორციელებლათ დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. სწრაფათ გაიცალა მცხოვრებლების მიერ შემონახული მარაგი. ნაწილი ბოლშევიკების ჯარებმა და საბჭოთა ბიუროკრატიის არმიამ გაანადგურა, ნაწილი რუსეთში გაზიდეს, როგორც სამხედრო დავლა.

თავის უკუღმართი დეკრეტებით, თვითნებობით, ძალადობით, უკანონო რეკვიზიციებით დამპყრობელებმა დაამხვეს ჩვენი წარმოება, მოშალეს ეკონომიური ცხოვრება, შებოჭეს მწარმოებელი შრომა, დაანგრიეს სოფლის მეურნეობა.

ქვა-ნახშირის ამოღება საქართველოში 8 ჯერ დაეცა. თითქმის ყველა ქარხანა-ფაბრიკებში შრომა 50%-ით შემცირდა. რკინის-გზებზე მოძრაობა თითქმის სრულიად შეწყდა.

და ამ გაძარცულ, გალატაკებულ ხალხის კისრიდან ბოლშევიკები იღებენ ახალ კონტრიბუციას—პურს, მატყლს, და 50 მილიარდ მანეთს ფულათ.

ყველა ამის შედეგია: შიმშილი, ტიფი, ხოლერა, შავი ჭირი. თფილისში ხალხი ქუჩებში იხოცება შიმშილით სინსილა გამოლეული. დედები თავს იკლავენ, რომ შვილების წამებას თავის თვალით არ უცქირონ.

უცხო უღელი დამპყრობელთა თანდათან უფრო მძიმე და აუტანელი ხდება ხალხისათვის: სარგებლობენ რა ჩვენი ტერიტორიით, როგორც სამხედრო პლაცდარმით თავისი იმპერიალისტური ავანტიურებისთვის, ბოლშევიკები ახალ-ახალი ჯარებით ავსებენ ქვეყანას და ეს ჯარები, როგორც კალია, მოედვენ მთელ საქართველოს. რუსეთიდან ბოლშევიკურ ჯარებს ერთი ნამცეცი პური არ მოსდის, და ყველაფერს, რაც ესაჭიროებათ, ძალათ ართმევენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

თავისუფლება—წართმეულ ქართველ ხალხს არ შეუძლია თავის საკუთარი ძალღონით გაუმკლავდეს მის თავზე დატეხილ უბედურებას. გარედან ხელოვნურათ შეიტანეს მასში შიმშილი და ეპიდემია. გარედან უნდა მიიღოს დახმარებაც.

და ევროპის და ამერიკის ხალხებმა, რომელნიც მზათ არიან თავის შორეულ მოძმეთ ტანჯვა შეუმსუბუქონ, უნდა იცოდენ როგორ დახმარებას მოელის მათგან საქართველო.

ა) საჭიროა დაუყონებლივ მიწოდება პურის და წამლების. ეს დახმარება უნდა მოეწყოს ისე, რომ გაგზავნილი პროდუქტები დაურიგდეს პირდაპირ გაჭირვებულ მცხოვრებთ და არა საბჭოთა კომისრებს და ქვეყნის გამანადგურებელ საოკუპაციო ჯარებს.

ბ) თავისუფალმა ერებმა უნდა აღიმაღლონ ხმა, რომ დაეხმარონ საქართველოს დამპყრობელთა ტირანიისაგან განთავისუფლების საქმეში. დღეს, როცა ბოლშევიკებს აღარ შეუძლიათ დაფარონ გარეშე ქვეყნისაგან ის საშინელებანი, რომლის მსხვერპლი გახდა ქართველებზე ადრე თვით რუსის ხალხი, დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფალნი იძულებული არიან მთელ ქვეყანას მიმართონ დახმარებისათვის, რომ ებრძოლონ შიმშილს, რომელიც მათივე ბოროტმოქმედებით არის შექმნილი, სწორეთ დღეს დადგა დრო, როცა თავისუფალმა ხალხებმა უნდა სთქვან მტკიცე სიტყვა მოსკოვის თვითმპყრობელთა უკანასკნელი ბოროტმოქმედების შესახებ, რომლის მსხვერპლი გახდა ქართველი ხალხი. ხმა მაღლა უნდა გაისმას მოთხოვნა, რათა გაყვანილ იქნენ საქართველოდან ბოლშევიკური ჯარები და ქართველ ხალხს მიეცეს საშვალება თავის ბედის თავისუფლათ გადაწყვეტის.

საქართველოს რესპ. მთავრობით თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

საქართველოს რესპ. დამფუძ. კრებ. თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიისა და სოც.-რევ. ცენტრ. კომიტეტებს.

ასლი „სოციალისტურ უწყებას“ ბერლინში და „რუსეთის თავისუფლებას“ პრაგაში.

**ძვირფასო ამხანაგებო!**

ექვსი თვე სრულდება, რაც საბჭოთა ლაშქარი შემოიჭრა საქართველოში, გააუქმა უაღრესათ დემოკრატიული დაწესებულებანი, დაანგრია მუშათა თავისუფალი ორგანიზაციები და დაამყარა რევკომის დიქტატურა, ფაქტიურათ დიქტატურა შემოსეული ჯარის.

ყველაფერი ეს გაკეთდა რუსეთის მუშებისა გლეხების სახელით. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ნამდვილათ რუსეთის მუშებსა და გლეხებს წილი არ უდევთ საბჭოთა მთავრობის მიერ ჩადენილ ბოროტებაში.

ჩვენ მოკლებული ვართ საშვალებას მივაწოდოთ რუსეთის მოწინავე დემოკრატიას ცნობები აუტანელი საოკუპაციო რეჟიმის შესახებ, რომელიც მძვინვარებს დაპყრობილ საქართველოში. ჩვენ ვიცით აგრეთვე, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ პოლიტიკური ბრძოლა თქვენს პარტიებს. ქართველი დემოკრატია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ამ ბრძოლას. ჩვენ ვაწვდით მას ცნობებს რუსეთის შესახებ და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც ნათელს მოფენთ საბჭოთა დიქტატორების ბნელ მუშაობას საქართველოში და აცნობებთ რუსეთის სოციალისტურ დემოკრატიას. დღიდან საქართველოში შემოსვლისა ბოლშევიკები ებრძვიან აქ მხოლოდ მოწინავე მუშებს, გლეხებს და სოციალისტურ ინტელიგენციას. ციხეები სავსეა ძველი მებრძოლებით. ხვრეტენ გაუსამართლებლათ და ბრალდების წაუყენებლათ. პროფესიონალური კავშირები გარეკეს და მათ ადგილას ზევიდან დანიშნული ვიგინდარები გააბატონეს, სოც.-დემ. პარტიას წაართვეს მუშების გროშებით შეძენილი ქონება, რუსეთში თანდათანობით გააქვთ ღარიბი ქართველი ხალხის ავლა-დიდება. ქართველი მუშები ძალით გაჰყავთ რუსეთში სამუშაოთ, რომ ამით დაასუსტონ მისი ბრძოლის ენერგია. ყოველივე ამას მოძალადეები ახორციელებენ რუსეთის წითელ არმიელთა ხიშტებით. სდევნიან ჩვენს ენას, ლიტერატურას, ჩვენს ეროვნულ კულტურას; თეატრებში აკრძალულია ისტორიული პიესები, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება მეფის სატრაპებსაც კი აზრათ არ მოსვლიათ. ბოლშევიკებს ამ სამარცხვინო მოქმედებაში მხარს უმაგრებენ ადგილობრივ მხოლოდ რუსეთის ყოფილი შავრაზმელები და სხვა ეროვნებათა რეაქციონური ელემენტები, რომლებიც დღეს კომუნისტურ მანტიაში არიან გახვეულნი ქართველი დემოკრატიის გასანადგურებლათ. ითესება საშინელი ნაციონალური შუღლი და მძულვარება. სოციალიზმის, უბრალო სამართლიანობის და რუსეთ-საქართველოს მომავალი შეგობრული ურთიერთობის დამყარების ინტერესები მოითხოვენ, რათა ყველაზე უწინ და ყველაზე უფრო მკაფიოთ რუსეთის მოწინავე დემოკრატიამ აღიმაღლოს თავისი ხმა თავისუფლების მოყვარულ პატარა ერის გასრესის წინააღმდეგ. თქვენი ასეთი საქციელი ერთი ორათ გაამხნევებს ქართველ მუშასა და გლეხს ბოლშევიკურ ტირანიასთან ბრძოლაში.

დარწმუნებული თქვენს მორალურ და პოლიტიკურ დახმარებაში, გიძღვნით ჩვენს ამხანაგურ სალამს.

**საქართველოს სოც.-დემ. მუშათ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

ქ. თფილისი, 6 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ამბები.

**ცეცხლი ყარაიაზში.** სახალხო გვარდიის მიერ დათესილი მამული ყარაიაზში საქართველოს რევკომმა გადასცა მე-11 არმიას. იქ გაგზავნილი იქმნა დასაცველათ მე-11 არაიის ნაწილები. წითელ არმიელებმა ყარაიაზის ტყეში ნადირობა დაიწყეს; რადგანაც ტყეში ღორები ვერ ჩაიგდეს ხელში, ტყის ერთ ნაწილს ცეცხლი წაუკიდეს იმ მოსაზრებით, რომ ღორები მინდვრათ გამოეგდოთ. ცეცხლი მოედვა ტყეს, გაგრძელდა ათი დღე და გადაწვა ყარაიაზის ტყესთან ერთათ მთელი ყარაიაზის ნათესი მამული.

**გორის მაზრა.** ახალქალქის რაიონში მძვინვარებდა და მძვინვარებს თეთრი ტერორი, აღდგომის დღეებში თავს დაეცენ მ. ლაშქარაშვილის ოჯახს. აუტეხეს სროლა სახლს და მოკლეს დედა ლაშქარაშილისა, მოკლეს ყოფილი ქართველი ოფიცრები თარხანიშვილი, ციციშვილი, ყანჩაველი. საქმის გამოსარკვევათ გაგზავნილი იყო კომისიები საქართველოს რევკომიდან, მაგრამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

პოლიტიკური მოღვაწეები, ზოგიერთი სამხედრო პირები და გვარდიელები ტყეებში ცხოვრობენ.

**ხაშურის რაიონი.** თვით ხაშურში ბატონობენ ოსები და კომუნისტები, ყოველგვარი პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციები დარბეულია. გავლა რაიონში ძნელია. მუშებს იჭერენ და ასახლებენ. მთელი ხაშურის მცხოვრებთა 85% წავიდა ხაშურიდან. მთელ მაზრაში და უმთავრასათ რევკომში, მილიციაში, ჩეკებში გარეშეებია. ხალხი ფაქტიურათ არ ეკარება რევკომებს.

**ბორჟომის რაიონში** რეპრესიებია. ბევრი მშრომელი გაქცეულია ტყეებში. სასახლეები, ძვირფასი შენობები, ბაღები ჯარის სადგომებათ არის გადაქცეული და ერთიანათ გაძარცულ-განადგურებულია. ყველა ქარხნები გაჩერებულია. აღარ მზადდება ბორჟომის მინერალური წყლები, ქალაქი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. ორგანიზაციები დარბეულია.

**ერწოს რაიონში** რუსის წითელ არმიელებმა, გზათ გავლის დროს, ხალხს ხარკი გადაახდევინეს 10 კომლზე თითო სული ოთხფეხსაქონელი.

**ტყვიბულის მაღაროებში.** 25 თებერვლამდი მუშაობდა 2.000-მდი მუშა, მაღარო დღეში იძლეოდა 45.000-50.000 ფუთამდე ქვანახშირს. დღეს მუშობს 3.000 მუშა, რომლებიც ძალად გამოყავთ სოფლებიდან ამისათვის სპეციალურათ შეიარაღებულ 200 კომუნისტს. მაღარო იძლევა დღეში 8.000-10.000ფუთ ქვანახშირს. მიზეზია მუშების ეკონომიური მდგომარეობა. აცხადებენ, მშიერ კუჭზე მუშაობა შეუძლებელიაო.

ჭიათურაში ყოველგვარი სიცოცხლე მიმკვდარებულია.

**მანგლისის რაიონი.** მანგლისში ყოფილი რუსი შავრაზმელნი, ამ ჟამათ გაკომუნისტებულნი, ავიწროვებენ ქართველებს. ქართული ენა გაუქმებულია, კულტურა გამასხარავებული. რევკომის თავმჯდომარეა გ. კობიძე, რომელიც მექრთამეობისა და ქურდობისათვის 1920 წ. იანვარში იყო დაჭერილი. რევკომის დანარჩენი წევრები რუსები და სომხებია.

მანგლისში მყოფ ქართულ პოლკის ქონება, ეკლესიის ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი განძეულობა მანგლისის რევკომმა გაგზავნა თფილისში. იყო რეპრესიები. მღვდელი ჩიტაძე, რომელიც სამშობლოს დასაცავათ ჯარში იყო, მესამე თვეა დაჭერილია.

**ალბულაღი.** ალბულაღის ქართულ პოლკის ვერცხლის ორკესტრი წაიღეს რუსის წითელ არმიელებმა. კომუნისტ რუსებმა და სომხებმა ადგილობრივ ქართველ მცხოვრებთ რუსეთის ჯარის შემოსვლის დღიდან დაუწყეს შევიწროება, ბოლო ხანებში შევიწროებამ უკიდურესი ხასიათი მიიღო. 50 პროცენტამდი ქართველთა მკვიდრმა მოსახლემ დასტოვა სოფელი და წავიდა. ბევრი ახლაც მიდის.

**ასურეთი.** ასურეთის რაიონი სრულიად გაძარცულია. წაიღეს სოფლებიდან პური, ქერი, თივა, ღვინო, წაიყვანეს საქონელი. ამ ჟამათ ასურეთში შიმშილობაა.

მთელ ასურეთის რაიონში კომმუნისტი არ აღმოჩნდა. რევკომები და მილიცია გაიგზავნა თფილისიდან.

**თფილისის** ირგვლივ სოფლები ძლიერ შევიწროებული არიან. რუსის წითელ არმიელები დადიან სოფლებში, აღებენ ხარკს. მიყავთ საქონელი, ოთხფეხი პირუტყვი.

**ყარაიაზი.** ყარაიაზი ომის დროს გაანადგურეს. ახლა მცხოვრებლებს ჩამოართვა საკუთრება—სათიბი მამულები და მიითვისა მე-11 არმიამ.

ყარაიაზში იმყოფება 300-ზე მეტი რუსეთიდან გადმოსახლებული მატროსი, რომელთაც ბრალდებათ კრონშტანტის მოძრაობასთან კავშირი. ამათი ხარჯი ფაქტიურათ მცხოვრებთა კისერზეა.

**გარე კახეთი.** სდევნიან ყოფილ გვარდიელებს და მოწინავე პირებს. ჩხრეკა და დაპატიმრება ხშირია. რევკომებში იმყოფებიან ახალგაზრდა უსაქმო ელემენტები. ხალხი რევკომებს არ ეკარება. მოახდინეს წისქვილების რეკვიზიცია, რასაც მოყვა წისქვილების სრულიად გაჩერება და ამიტომ ისევ დაუბრუნეს პატრონებს. რევკომები და მილიცია შესდგება უმთავრესათ მოსულებისაგან, მათი ხარჯი საზოგადოებებს ეკისრება.

საგარეჯოში იყო სულ შვიდი კომუნისტი, ამათში ადგილობრივი მკვიდრი იყო ორი, მაგრამ ახლა ორივემ უარი განაცხადა კომუნისტობაზე.

პატარძეულის საზოგადოებაში სრულიად არ აღმოჩნდა კომუნისტი, სამაგიეროთ თფილისიდან გაგზავნეს ორი კომუნისტი.

სართიჭალაში, მარტყოფში და საერთოთ გარეთ კახეთში მდგომარეობა ასეთია:

სოფლები შევიწროებულნი არიან, განსაკუთრებით ჯარისთვის შესაკრებ ხარკების გამო, უკვე შიმშილობენ. ბარგების გადაზიდვამ ბევრი ცუდი შედეგები გამოიღო. საგარეჯოდან და ხაშმიდან გაყავთ ბეგარაზე ურმები წნორის წყალამდი და ლაგოდეხამდიც, ე. ი. 130—160 ვერსამდი. გზაში იხოცება ხარები და ხშირათ მეურმეები სრულიად სტოვებენ ურმებს, ხარებს და ცალიერი ბრუნდებიან.

**სამხრეთ ოსეთში.** ჯავაში ქართველი მოსახლეები, ვინც ვერ გაიქცა რუსეთის ჯარის შემოსევის დროს, ამოხოცეს. ოსების ბატონობა გავრცელდა ცხინვალის რაიონზედაც. რეპრესიები საშინლათ მძვინვარებს. გაიტაცეს დიდძალი ხორბალი და საქონელი მცხოვრებლებიდან.

ბევრი ქართველი ცხინვალიდან გაიხიზნა. ამ ბოლო ხანებში ოსების გადაჭარბებულ მოქმედების გამო საქართველოს რევკომმა რამოდენიმეჯერ კომისია გაგზავნა. კომისიის დასკვნა ასეთია: ოსების მოქმედება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ქართველები ცუდ მდგომარეობაში არიან. მოსალოდნელია საშინელი ხოცვა-ჟლეტა, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებულიო.

მეჯვრისხევის რაიონშიაც მდგომარეობა ასეთია.

**მესხეთ-ჯავახეთში.** ახალციხის მაზ. ომის დროს ჯერ ქემალის ჯარებმა წაართვეს მცხოვრებლებს ხორბალი, ქერი და საქონელი, შემდეგ რუსეთის ჯარმა. ამიტომ ქართველ მუსულმანთა მოძრაობის მიმართულება უფრო მტკიცე და გარკვეულია, ვინემ აჭარაში. მოგზაურობის დროს მგზავრი მუსულმანები გვეკითხებოდენ: როდის დაბრუნდება ფადიშახი ჟორდანია—(ფუხარა ხალხის ხელმწიფე) თავის მთავრობითო.

ფოცხოვის რაიონი, რომელიც პოლიტიკურათ მოწამლული იყო ყოველ დროს და რომელიც დღეს ქემალის საზღვრებშია, ხალხი საქართველოს მთავრობის მოლოდინშია. ახალციხის მაზრაში, გარდა ორი-სამი პირისა, კომუნისტი არ აღმოჩენილა.

ახალციხის მაზრაში ფაქტიურათ არ ღებულობენ რუსულ-სომხურ და აზერბეიჯანის ფულის ნიშნებს: თუ «ჟორდანიას ფარა» არ გაქვს, ვერაფერს იშოვნი საყიდლათ სოფლებში.

— როგორც არტაანში, ისე ჯავახეთში დუხობორების ახალშენბი აიყარენ და მიდიან, სად? არავინ იცის. ამ ჟამათ ორი ათას სულზე მეტი დუხობორი ბაკურიანის ტყეში არის დაყრილი. თხოულობენ მატარებელს და ადგილს. სურსათი არა აქვთ. იკვებებიან ბალახით და ბევრი მათგანი იხოცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი საფლავი.

I.

აქ ის მარხია, ვისაც უყვარდა
სამშობლო ლაღი, თავისუფალი,
თავის ქვეყანას მსხვერპლად დააკვდა
და მოიხადა მით წმინდა ვალი.
ცხარე ბრძოლაში დაეცა იმ დროს,
როცა თბილისის ლამაზ მიდამოს,
გაშმაგებული, მოსისხლე მტერი
შემოესია თოფ-მონაღერი.
მტრისგან აღმართულ დროშა-ალამ ქვეშ,
მშობელი ქვეყნის ნანგრევთა შორის,
ხალხმა აკრიბა ძვირფასი მკვდრები
ნანისკარტები ჯვავ-ყორნის, ქორის,
საძმო საფლავთან მუხლთ მოიყარა
და მსხვერპლს მიაპყრო მწუხარ თვალთა ზღვა,
რაც დაკარგა და რაც უნდა ჰპოვოს.
მდუმარე ხალხმა იმ მზერითა სთქვა.
გმირთა სიცოცხლეს გაჰყვა ბრწყინვალე
ქართველი ერის თავისუფლება,
ესენი ვეღარ, თორემ ის მალე
მეტის მშვენებით ისევ აღსდგება.
"საფლავს ყვავილი მალე დაჭკნება
სატრფოს ნარნარი ხელით დებული,
დრო არ დაინდობს, ნელ-ნელ დაარღვევს
და დაიმსხვრევა ძეგლი ქებული!
მაგრამ ამ საფლავს ხალხის გულში აქვს,
ძეგლი ბრწყინვალე და სასახელო,
იცოცხლებს მარად ტკბილ სიმღერებში,
ვიდრე ცოცხალ არს თვით საქართველო...

II.

ვისაც აქ ცივი მიწა აყრია,
ვისიც აწყვია აქ ცივი ძვლები,
ქართველი ხალხის თავისუფლებას
ჰკლავდენ და მაშინ დაეცენ მკვდრები.
სხვა ქვეყნის, შორის გზიდან მოსულნი
აქ გაჰკიოდენ: დაჰკა! მოჰკალი!
ცეცხლის ლანდებთან ერთათ ცეკვავდენ
ერის განძს სწვავდა როს ცეცხლის ალი.
თოფ ზარბაზნების ჰექა-გრიალ ქვეშ
ხალხს დაუხიეს დროშა გრძნეული,
და სანავარდოთ გაუშვეს უნდოთ
ცოდვა გველსავით თავ-აწეული.
დედ-მამა, სატრფო და მეგობრები,
ცრემლებს შორს ღვრიან სიმწარის მგრძნობი,
აქ კი სდგას ობლად ცივი საფლავი,
ნათესაური ცრემლის უცნობი...
და ისევ ქართველს, მახლობლად გამვლელს,
მწუხარე მზერას სტაცებს, აღონებს,
უღვიძებს გულში ჩამარხულ წყრომას
და მრავალ, მრავალ ტკივილს აგონებს:
აგონებს ცხარე და მედგარ ბრძოლას,
ღამეს, შიშს, გლოვას ღელვას დამწველს,
განთიადისას მტრის სისხლით მორწყულს
და მკვდრებით სავსე სოღანლუღის ველს;
აგონებს მოხუცს, საყვარელ თბილისს
სხვისი დროშის ქვეშ, ძლეულს, მწუხარეს,
მტრის ცივი ხელით, ცივ ბორკილებში
ჩაჭედილ ლამაზ სამშობლო მხარეს...

რალფი.

---

# ევროპის პრესიდან.

### თურქული პრესა ბათომის შესახებ.

«ბათომის საკითხი ყარსის ბონფერენციაზე» ამ სათაურით მოთავსებულია წერილი სტამბოლის თათრულ გაზეთში შემდეგი შინაარსის: «წარსულ ოთხშაბათს ყარსში მოხდა კონფერენციის პირველი კრება, რომელზედაც დაესწრენ კავკასიის საბჭოთა რესპ. წარმომადგენლები, და აგრეთვე რუსეთის, სპარსეთის და ოსმალეთის დელეგატები.

თავმჯდომარეობდა ჩვენი წარმომადგენელი კარა ქიაზიმ-ბექირ-ფაშა, რომელმაც თავის წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ დღევანდელი კრება არის საძირკველი აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების, და ნიშანი სრული დამოუკიდებლობისა. ეს აზრი დაადასტურა ადერბეიჯანის წარმომადგენელმაც.

შემდეგ გადავიდენ ბათომის საკითხზე. გადაწყდა შემდეგი: ბათომი უერთდება აჭარას, აჭარისა და ქალაქ ბათომისაგან შესდგება პატარა მუსლიმანური მთავრობა. ოსმალეთს ეძლევა უფლება როგორც ქალაქ ბათომში, აგრეთვე ოლქში, აჭარაში, ყოველ გვარი საქონლის უბაჟოთ შეტანის. ბათომის პორტი თურქებისათვის სრულიად თავისუფალია. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღეიდან ბათომი ჩვენი ქალაქია. დღეს უკვე ბათომში აფრიალდა ჩვენი თათრული დროშა».

ასეთია კომუნისტების ვარჯიშობის შედეგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი აკ. ჩხენკელთან.

(ჩვენ კორესპონდენტისაგან)

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვესაუბრა აკ. ჩხენკელთან, საქართველოს ელჩთან ლონდონსა, პარიზსა და რომში.

— როგორია თქვენი აზრი საქართველოს მომავალზე?—ვეკითხებით ელჩს—რას ფიქრობენ მის შესახებ ევროპის ოფიციალური წრეები? როდის დაისმება საქართველოს საკითხი საერთაშორისო კრებულის წინაშე? და თუ დაისვა, როგორ გადაწყდება იგი?

— მე ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი საქართველოს მომავლის შესახებ—მოგვიგო ელჩმა, იგი საიმედოა, ჩემი აზრით. საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია, და ის ვერ გახდება, მაგალითად, რუსეთის შინაურ საკითხათ; ეს არა იმიტომ, რომ ასე აზროვნობენ ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალური წრეები, არამედ იმიტომ, რომ თვით საერთაშორისო კონიუნქტურა, თვით საქმეთა მსვლელობა მოითხოვს ამას. მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, ოფიციალურ წრეების აზრსაც,—და იგიც ჩვენდა სასარგებლოა. თუნდაც ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა, სხვა რომ არ იყოს რა, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც ძალაუნებურათ ანგარიში უნდა გაუწიონ ამ წრეებმა; მაგრამ სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ისინი უამისოდაც სიმპატიით უცქერიან ჩვენს ქვეყანას, თანაუგრძნობენ მას და დარწმუნებული არიან, რომ ის თავს დააღწევს თავდამტყდარ უბედურებას.

სიმპატია და თანაგრძნობა ჩვენი ხალხისადმი განსაკუთრებულია ევროპის ფართე საზოგადოებრივ წრებში. ამას მოწმობს «თავისუფალ საქართველოს» ქრონიკაც, თუმცა უკანასკნელი ვერ აგვიწერს ყველა იმას, რასაც სწერენ და ლაპარაკობენ დღითი-დღე ევროპაში ჩვენ სასარგებლოთ. თამამათ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჰყავს ურიცხვი მეგობრები, რომელთა უდიდეს ნაწილს ჩვენში არც კი იცნობენ.

— მე მესმის იმ მოუთმენლობა, რომელსაც შეუპყრია ქართველი ერი მისი საკითხის საერთაშორისო ოფიციალურ კონფერენციაზე დაუსმელობის გამო—განაგრძობს ელჩი. მე ვამბობ «ოფიციალურ», ვინაიდან არაოფიციალურ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ყრილობებზე ხშირათ გაიგონებთ მედგარ პროტესტის ხმას საქართველოს თავდამსხმელთა წინააღმდეგ; თქვენ კითხულობთ აგრეთვე ხშირათ მათ მიერ მიღებულ რეზოლიუციებს, სადაც წამოყენებულია გადაჭრილი მოთხოვნა უცხო ჯარების საქართველოდან გაყვანის შესახებ.

მე მესმის, ვიმეორებ, ქართველების მოუთმენლობა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს საკითხი ერთად ერთი არაა... ის არ არის ერთი უმთავრესთაგანიც, რომელიც იპყრობს დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას. თქვენ კარგათ იცით, რაზე იყო პირველ ყოვლისა ევროპის ყურადღება შეჩერებული ამ სამი წლის განმავლობაში, ე. ი. დიდი ომის შეწყვეტის შემდეგ. ეს იყო გერმანიასთან ზავის დაწერა, შემდეგ მისი სისრულეში მოყვანა და მასთან დაკავშირებულ მთელ აღმოსავლეთევროპის ხალხთა და სახელმწიფოთა პოლიტიკური გადახალისება-გადაჯგუფება.

ჩვენ გვეჩქარება, მართალია, ზოგჯერ გულიც მოგვდის, რომ არ იცლიან ჩვენთვის და გვავიწყდება, რომ თვით დიდი რუსეთის საკითხიც არ ყოფილა ჯერ მთელის სიგრძე-სიგანით დასმული საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე.

რუსეთის მდგომარეობაშია ახლო-აღმოსავლეთის საკითხიც. იგი თუმცა დასვეს ლონდონის კონფერენციაზე ამა წლის მარტში, მაგრამ ვერ გადასჭრეს. ხოლო პარიზის კონფერენცია ამ აგვისტოში ვერც კი შეეხო მას ოფიციალურათ. ჩვენი საკითხი კი გადაბმულია როგორც რუსეთის, ისე კიდევ უფრო, ახლო-აღმოსავლეთის საკითხთან. როცა, მაგ., მე მოვითხოვე, საქართველოს სახელით, ლონდონის კონფერენციის მონაწილეებს, რომ მათ მოესმინათ ჩემთვის, პასუხად მივიღე, ჯერ თქვენი რიგი არ დამდგარაო. თვით სომხეთის დელეგაციას, რომელსაც ხელი უწერია სევრის ხელშეკრულებაზე — და ლონდონში ხომ ამ ხელშეკრულების გადასინჯვა იყო განზრახული—, მხოლოდ ტეხნიკურმა კომისიამ მოუსმინა და არა კონფერენციამ.

მაგრამ ჩქარა დადგება ჩვენი რიგიც—დასძენ ელჩი. გამარჯვებულ ხალხთა ურთიერთი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულება საცაა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. ზემო-სილეზიის საკითხი — მიზეზი უკანასკნელ გართულებისა—ალბათ მალე გადაიჭრება. საფრანგეთი და გერმანია პირის-პირ უთანხმდებიან ერთმანეთს ომისაგან გავერანებულ პროვინციების აღდგენის თაობაზე. საბერძნეთ-ოსმალეთის ომიც, უეჭველია, საზავო მოლაპარაკებით დამთავრდება ახლო მომავალში...

და მაშინ თავის-თავათ დაისმება ჩვენი საკითხიც,—ვინაიდან შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ახლო აღმოსავლეთში, თუ კავკასიის რესპუბლიკათა საქმეები მოუწესრიგებელიიქნა. ეს დებულება არა ერთხელ წამოშიყენებია მე ჩემ მიერ გადაცემულ ნოტებში, თუ დარბაზობის დროს და ყოველთვის მის დადასტურებას ვისმენდი პასუხად სახელმწიფო მოღვაწეთაგან.

აქ კიდევ რუსეთის დამშევა, რომელმაც მთელის თავის საშინელებით თვალწინ გადაუშალა განათლებულ კაცობრიობას ეგრ. წოდ. საბჭოთა რექიმი. არ არის ისეთი სახელმწიფო, არც პოლიტიკური პარტია ან სხვა რომელიმე ორგანიზაცია, რომელიც არ გაიძახოდეს დღეს დამშეულ რუსეთის დახმარებაზე. მაგრამ როგორ, რანაირათ?—საბჭოთა მთავრობა არ იძლევა არავითარ გარანტიას, რომ მიწვდილი ლუკმა დამშეულს მიუვა, რომ კომისრები და მათი დამქაშნი არ ისარგებლებენ ამ დახმარებით თავიანთ პოზიციის გასამაგრებლათ.

ამ რიგათ, წამოიჭრა საერთაშორისო მასშტაბით პრობლემა საბჭოთა რექიმის დაძლევის. პრაქტიკულმა ამერიკელებმა გადაჭრეს ეს პრობლემა იმით, რომ საკუთარ და დამოუკიდებელ დამხმარე ორგანიზაციების მოწყობას შეუდგენ რუსეთში, თითქოს საბჭოთა მთავრობა არც კი არსებობდეს იქ. ამერიკელების გზას გაჰყვებიან ევროპიელნიც... ამით რუსეთის სახელმწიფოებრივი უზენაესობა და აქედან მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა ძალაუნებურათ ილახება.

ჩვენი პოზიცია დამშევის საქმეში ერთობ მარტივია და ნათელი. საქართველოს დამშევა გამოწვეულია მისი ოკუპაციით, ამიტომ მოვითხოვთ უკანასკნელის მოხსნას, ე. ი. უცხო ჯარების გაყვანას მისი საზღვრებიდან. ამ ფორმალურ მოთხოვნას—არა მარტო დამშევასთან დაკავშირებით—ვუყენებთ ჩვენ ყველა ოფიციალურ და არაოფიციალურ ყრილობებს და იმედი გვაქვს, რომ ეს მოთხოვნა გასჭრის ადრე თუ გვიან.

მაგრამ თავი და თავი ეს მაინც არაა — განმარტავს ელჩი. დგება მომენტი, როცა რუსეთის საქმეები საერთაშორისო საშვალებებით უნდა მოწესრიგდეს. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთს არ ძალუძს საკუთარის ძალღონით ზეზე წამოდგომა, თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების აღდგენა,—იმდენათ საფუძვლიანათ დაანგრიეს იგი კომუნიზმის ქურქში გახვეულმა ბარბაროსებმა. ლენინი «სოვნარკომის» სახელით მოუწოდებს ევროპაამერიკის კაპიტალს და კაპიტალისტებს რუსეთის აღსადგენათ, და იმავე დროს იგივე ლენინი «ისპოლკომის» სახელით წყევლა-კრულვას უთვლის მსოფლიო ბურჟუაზიას!

ეს მოასწავებს უმწეობის უმაღლეს წერტილამდე მისვლას. ეს მოასწავებს იმას, რომ ახლოვდება ბოლშევიკების ბატონობის დასასრული. ძნელი გამოსაცნობია, ვინ შესცვლის მათ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: ვინც უნდა იყოს მათი მემკვიდრე, ის ვერ შესძლებს რუსეთის ეკონომიურ აღდგენას და სახელმწიფოს დამსგავსებას ევროპის დაუხმარებლათ.

მაგრამ მოსალოდნელია ისიც, რომ სანამ ბოლშევიკებს შესცვლიდეს ვინმე, რუსეთი ერთხელ კიდევ გაეხვიოს ანარქიის ქაოსში... და მაშინ განაპირა ქვეყნები, პირველათ საქართველო, იმედია, შესძლებენ ანაზდეულათ გადაიგდონ რუსეთის უღელი. მე ვამბობ «რუსეთის», ვინაიდან ჩვენთვის ყოველმხრივ მიუღებელია რუსეთის ფარგლებში დარჩენა, და მის კოლონიათ გახდომა.

— როგორ ფიქრობთ, არაა მოსალოდნელი, რომ ბოლშევიკები გარდაიქმნებიან და თვითონვე შესძლებენ რუსეთის აღდგენას და ასე თავიანთ ბატონობის შენარჩუნებას?—ვეკითხებით ელჩს.

მესმის თქვენი კითხვა—მოგვიგებს ელჩი—, ბოლშევიკების «ევოლიუცია» დიდს მოდაში იყო ევროპის ზოგიერთ წრეებში; ამით აიხსნება რამდენათმე მაინც ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს. არა მგონია, რომ თვით ლენინსაც კი შესაძლებლათ მიაჩნდეს კაპიტალიზმის და კომუნიზმის ერთათ მოთავსება; მის მაკლერს კრასინს კი ხომ სულაც არ სჯერა ეს.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ ლენინი და მისი მომხრენი სრულს სიმართლეს არ ამბობენ: ისინი იძულებული არიან გზა გაუხსნან კაპიტალისტურ მეურნეობას რუსეთში, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ამბობენ, რომ ამის პირდაპირი შედეგი «კომპარტიის» ბატონობის გაუქმება იქნება.

მაგრამ ჩვენთვის, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბოლშევიკები დაეცემიან, თუ თვითონ გარდიქმნებიან «ბურჟუებათ»—დასკვნა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა: რუსეთი უმწეოა განახლდეს თუ სხვები არ დაიხმარია, მაშასადამე, ის იძულებული გახდება დაემორჩილოს ამ სხვების კარნახს... ასეთ ვითარებაში თავის თავათ მისახვედრია, თუ ჩვენ იმედიანათ შევსცქერით ჩვენი ქვეყნის მომავალს.

— კავკასიის ყელი და მისი შუაგული, საქართველო, უკვე შევიდა საერთაშორისო წონასწორობის სისტემაში. დიდათ სახიფათოა საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის და არა ნაკლებ საზარალოა საერთაშორისო ალებ-მიცემობისათვის, თუ შავსა და კასპიის ზღვებს შუა ფეხი მოიმაგრა რუსეთმა, ან ოსმალეთმა. პირველისათვის კავკასია წარმოადგენდა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ბაზას, საიდანაც ის ეწეოდა თავის დაპყრობით პოლიტიკას მცირე და წინა აზიაში; ხოლო მეორისათვის იგი გახდება შემაერთებელ ხიდათ მცირე და წინა აზიის მაჰმადიანობისა. მე არ მჭირია იმის მტკიცება, რომ ასეთი პერსპექტივები ყველას თვალწინ უდგას და არავისთვის არაა იგი სახარბიელო. ერთათ-ერთი გონიერი გამოსავალი—ეს კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღდგენა და მათ შორის მტკიცე კავშირის დამყარებაა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოთხოვნას, ე. ი. კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას და მათ კავშირს, დაუყენებენ წინ დიდი სახელმწიფოები რუსეთსა და ოსმალეთს, თუ, რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხები სათანადო ენერგიასა და უნარს გამოიჩენენ. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ იმ მოვლენაში, რომ ჩვენ მიერ 10 ივნისს ხელმოწერილ დეკლარაციას კავკასიის 4 რესპუბლიკათა კავშირის შესახებ, ევროპის საზოგადო აზრი და ოფიციალური წრეები მხურვალე თანაგრძნობით შეხვდენ.

რაც შეეხება კერძოთ საქართველოს, მას ფორმალური უფლებაც აქვს მოითხოვოს აქტიური დახმარება იმათგან, ვინც ის იურიდიულათ იცნო.

ეს ხომ უცხო სახელმწიფოების საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას მოასწავებს?—ვეკითხებით ელჩს.

— თქვენ ალბათ სახეში გაქვთ ბოლშევიკების კომპანია ჩვენს წინააღმდეგ—მოგვიგებს ელჩი—იმ ბოლშევიკების, რომელნიც წინ მოუძღოდენ უცხო ჯარებს საკუთარ სამშობლოს დასამხობათ. მათ ხომ პირველათ თვითონ ჩარიეს უცხო სახელმწიფო, რუსეთი, საქართველოს შინაურ საქმეებში.

მე მესმის, როცა ჩიჩერინებს არ სურთ, რომ უცხო სახელმწიფოებმა აღიმაღლონ ხმა საქართველოს სასარგებლოთ, ვინაიდან ისინი სთვლიან საქართველოს საკითხს რუსეთის შინაურ საკითხათ; ხოლო, როცა ამასვე იმეორებენ ჩვენი «შინაური» ბოლშევიკები, ეს მოასწავებს იმას, რომ ისინი ეხლაც არ გრძნობენ იმ საშინელ ღალატს, რომელიც მათ ჩაიდინეს მშობელ ერის მიმართ.

ეს მოასწავებს საქართველოს დროშის მოხსნას საერთაშორისო ასპარეზიდან, რაიც უკვე ჩაიდინეს ქართველმა კომუნისტებმა. ისინი ამ უმზგავსოებას ამართლებენ კომუნისტური ფრაზეოლოგიით, მაგრამ ამით ფონს ვერ გაელენ.

წავიდა ის დრო, როცა ბოლშევიკების დიქტატურას რევოლიუციის უმაღლეს მიღწევათ სთვლიდენ ევროპის მუშათა წრეებში. კულტურულ ქვეყნების მუშები იმით განირჩევიან ჩამორჩენილ ქვეყნების მუშებისაგან, რომ ისინი აფასებენ ყოველივეს არა ფრაზის, არამედ საქმის მიხედვით.

რა საქმეს ხედვენ ისინი? ბოლშევიკები თვითონ აღიარებენ ლენინის პირით, კომუნისტურ ექსპერიმენტების გაკოტრებას, ისინი პირობით ეკვრიან მათ მიერ ათვალწუნებულ ბურჟუაზიულ მთავრობებს კაპიტალისტურ მეურნეობის აღსადგენათ რუსეთში, მათი ემისრები დაძრწიან ევროპა-ამერიკაში იმავე ბურჟუაზიის მიერ საბჭოთა მთავრობის ფაქტიურ ცნობის მისაღწევათ, მათი ჯარები გარდაიქმნენ დაპყრობის იარაღად... გაიხსენეთ ვერაგი შემოსევა საქართველოზე, რომელმაც თვალი აუხილა ევროპის მუშებს.

ბოლშევიკები ესწრაფიან სამუდამოთ მოსწყვიტონ, გზა მოუჭრან საქართველოს და სხვა კავკასიელ რესპუბლიკებს დასავლეთ ევროპისაკენ. ამით მათ თავს იდვეს ძველი ხონთქრების მისია.

სხვა კითხვაა, თუ რამდენათ ხელსაყრელია ოსმალეთისთვის კავკასიის ხელახლა დამონავება რუსეთის მიერ. მე არასდროს არ ვიცავი დიდი წარმოდგენის ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებზე, მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა ისინიც კი უნდა მოიყვანოს გონს. საბერძნეთის ხიფათი, რომლის შიშს შეუპყრია დღეს მთელი ოსმალეთი, უმნიშვნელოა რუსეთის ხიფათთან შედარებით.

ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთიც იძულებული იქნება დაემორჩილოს ევროპის კარნახს ისე, როგორც რუსეთი. ბოლოს და ბოლოს კითხვას სწყვეტს საერთაშორისო ძალთა განწყობილება. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთი და ოსმალეთი უფრო ძლიერი იქნებიან, ან თუნდ ძველ როლს ითამაშებენ თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა კრებულში. ისინი, პირიქით, მცირეწლოვანის მდგომარეობაში ვარდებიან, რომელსაც გარეშე მზრუნველი ეჭირვება. ამიტომ სრულიად საფუძვლიანია ჩემი ოპტიმიზმი: იშვიათად დადგომია საქართველოს ისეთი მოხდენილი დრო თავის ეროვნულ მიზნების მისაღწევათ, როგორიც ეხლა უდგება მას.

— მაგრამ მოხდენილი დრო ვერ გვიშველის, თუ ჩვენ თვითონ არ ვივარგეთ—დასძენს ელჩი. აუცილებლათ საჭიროა თავიდან ავიცდინოთ ბევრი ისეთი შეცდომები, რომელიც მომაკვდინებელი დანაშაულია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

პირველი ასეთი შეცდომა იქნებოდა ინტელიგენტური სულწასულობა და პარტიული შული, რომელიც შეარყევდა და გზა-კვალს აუბნევდა ქართველ ერს. ბრძოლა ერის უფლებისათვის ადვილი არ არის, ის მოითხოვს განუწყვეტელ მეთოდიურ მუშაობას, მუდმივათ მზად ყოფნას უდიდეს მსხვერპლისათვის, ერთსულოვნებას ბრძოლაში განურჩევლათ მსოფლმხედველობისა, ყველასაგან ერთი მიზნისკენ ლტოლვას გასროლილ ისარივით. რყევა, განზე ან უკან ცქერა მიუტევებელია, სასოწარკვეთილება და მოუთმენლობა დაუშვებელია. მაგალითისათვის უნდა მივმართოთ სხვა ერებს, რომელთაც ამ მოკლე ხანში მიაღწიეს თავისუფლებას. აიღეთ თუ გინდ ირლანდია, რომელიც მთელი საუკუნეა განაგრძობს ბრძოლას, და მერმე როგორ!

მაგრამ რაღა სხვაგან ვეძიოთ მაგალითი,—განა ქართველი ერი მთელი თავისი წარსულით ხელთუქმნელი ძეგლი არ არის მხნეობისა და გამძლეობის? მართალია, ის დღეს საშინელ მდგომარეობაშია ჩაყენებული მისი ორგული შვილების მუხანათობის გამო, მას საბელი აბია კისერზე, შია, სცივა, შიშველია, ათასგვარი სენი მოსდებია. მაგრამ განა ცოტა გაჭირვება გადაუტანია წარსულში, რომ დღევანდელს შეუშინდეს?

არა, მე ხალხი არ მაფიქრებს, ვისურვებ მხოლოთ, რომ ხალხის წინამძღოლნი თავის სიმაღლეზე იდგენ.

— რას გვეტყვით აფხაზეთის, და სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ, სადაც თქვენ ამდენი გიშრომიათ?—ვეკითხებით ელჩს.

ბოლშევიკებმა ჩაიდინეს ისტორიული დანაშაული—მოგვიგებს ელჩი აღელვებით—, მათ დაასახიჩრეს მთლიანი საქართველო, როცა მას ჩამოსჭრეს აფხაზეთი და ბათომის მხარის დიდი ნაწილი.

კიდეც რომ დავივიწყოთ ისტორიული ფაქტი, რომ აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი წილი ქართველი ტომისანი არიან, თავის-თავათ აშკარაა, რომ ასეთი მცირე ტერიტორიის და მოსახლეობის ქვეყანა დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევს.

რაც აფხაზეთში ხდება, უმთავრესად ის ქვეყნის გამარუსებელი პოლიტიკის შედეგია, დღევანდელი მისი მესვეურნიც ხომ უმეტეს შემ ხვევაში რუს კლერიკალების სულიერი შვილნი არიან, მათ შორის ნამდვილი შავრაზმელი რუსიც ბლომათ ურევია. აფხაზეთის «დამოუკიდებლობა» მოასწავებს პირველ ყოვლისა თვით აფხაზების ასიმილაციას, გათქვეფას რუსებში; იგი სხვას არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, თუ არა საქართველოს კარების ღიად დატოვებას რუსეთის მხრით. აფხაზეთის ხალხი არ არის თვალ-ახვეული, როგორც ბევრსა გონია, ის ინსტიქტიურათ გრძნობს საქართველოსთან ერთად ყოფნის გარდუვალობას. მას არ დავიწყნია, რა თქმა უნდა, რომ სწორეთ რუსეთის მიერ განიცადა მან უმაგალითო განადგურება 1878 წელს.

და ეს განადგურება ხომ გუშინდელი სინამდვილეა აჭარელ ქართველ მაჰმადიანებისათვის! სანამ რუსეთი და ოსმალეთი მოსაზღვრე არიან, სანამ მათ არ აცალკევებს თავისუფალი საქართველო, მანამ ბათომის მხარეს არ აცდება ორ აქლემ შუა გაჭყლეტილი კოზაკის ბედი. წარსულ ომიანობათა საშინელი ჭრილობა საკმაოთ გამაფრთხილებელი უნდა იყოს ჩვენი აჭარელი ძმებისთვის. მათ უნდა შეიგნონ, და შეიგნებენ ადრე თუ გვიან, რომ ქალაქ და ნავთსადგურ ბათომს ოსმალეთს არავინ დაანებებს, ხოლო უბათომოთ მათი არსებობა შეუძლებელია ისე, როგორც სხეულის არსებობა უთავოთ. ანგორის და მოსკოვის კავშირმა მხოლოდ ის არაბუნებრივი «სარგებლობა» მოუტანა მათ, რომ სამაჰმედიანო საქართველო ორათ გასჭრეს, სხეულს თავი წაგლიჯეს.

არ ვმალავ იმასაც, რომ აფხაზების და მაჰმადიან ქართველების პოლიტიკურ რყევაში შეიძლება ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. შეიძლება ჩვენ ვერ შევძელით სათანადო ანგარიშის გაწევა მათი განსაკუთრებული მდგომარეობისთვის, მათი ისტორიულ თავგადასავალისთვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ადვილი გამოსასწორებელია მომავალში, მით უმეტეს, რომ ორსავე მხარეში განხორციელდება ჩვენს კონსტიტუციაში უკვე შეტანილი ავტონომიური მართველობა ამ კუთხეებისთვის. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მათი სიმპატია ჩვენსკენ იქნება.

ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბედის გამჭედი, ჩვენი ერის მთლიანობა და სულიერი სიმტკიცეა. ყოველივე ის, რაც ამ მთლიანობას და სიმტკიცეს არღვევს, ასუსტებს, თავიდან უნდა ავიცილოთ. ამას გვიკარნახებს დღევანდელი საპასუხისმგებლო მომენტი.

წარმოუდგენელია სახელმწიფოს აშენება იქ —ათავებს ელჩი—, სადაც პასუხისმგებლობის გრძნობა არ არსებობს,—ამ გრძნობის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ჯგუფურმა და პირადულმა ვნებათა-ღელვამ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიმშილობა საქართველოში.

---

### შიმშილობა საქართველოში და ამსტერდამის ინტერნაციონალი.

როგორც ვიცით, პროფ. კავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალმა ბერლინში თავის საგანგებო კონგრესზე დაადგინა დაეხმაროს დამშეულ რუსეთს და საქართველოს. ამ დადგენილების თანახმათ ყველა ქვეყნებში შედგა კომიტეტები და გროვდება შემოწირულებანი. საერთოთ შემოწირულების გროვება ხდება გარეშე ყოველგვარი პოლიტიკური აგიტაციისა. ამიტომ სინდიკატები (პროფ. კავშირები) თავის მოწოდებაში არ ეხებიან რუსეთის დამშევის მიზეზებს, არ არკვევენ, ვინაა დამნაშავე ამ საშინელი უბედურებისა რუსეთის ხალხის წინაშე. მაგრამ სულ სხვაა საქართველოს შესახებ. აქ გაზეთები ყველანი ერთხმათ აღიარებენ, რომ ეს პატარა ქვეყანა შიმშილის მსხვერპლი გახდა სწორეთ მოსკოვის იმპერიალისტურ თავდასხმის წყალობით. კომუნისტური პრესა ევროპაში ამას დუმილით ეგებება, რადგან სათქმელი არაფერი აქვს. საქართველოს უსირცხვილო კომუნისტები კი რუსეთის დასახმარებლათ ადგენენ კომიტეტებს და ქართველ გლეხებს უპირებენ, რაც დარჩათ საზრდო, იმის წართმევას ნატურალური ბეგარის სახით. მოსკოვის აგენტებს მეტი რა მოეთხოვება!

### კოოპერატივთა საერთაშორისო ყრილობა საქართველოს შესახებ.

ამ ხანებში შედგა საერთაშორისო ყრილობა კოოპერატივებისა ბაზელში, სადაც დაისვა საკითხი დამშეულ რუსეთის დახმარებასთან ერთათ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა საქართველოში ბოლშევიკების ჯარების შემოჭრის გამო.

ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროთ აღიარა დახმარების აღმოჩენა როგორც რუსეთის, ისე საქართველოსთვის; ამიტომ ყრილობამ დაადგინა, რომ განსაზღვრული ნაწილი შემოწირულების საერთო თანხიდან გადადებულ იქნეს საქართველოსთვის და გადაეცეს ქართველ ამხანაგებს.

### შვეიცარიის სოც. პარტია და საქართველო.

შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ყრილობა შეუერთდა იმ საპროტესტო რეზოლიუციას საქართველოს დაპყრობის შესახებ, რომელიც გამოტანილ იქნა რეკონსტრუქტორების ($2^1/_2$) ინტერნაციონალის წარმომადგენელთაგან ფრანკფურტში.

ამასთანავე ყრილობამ დაადგინა დაარსებულ იქნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია დამშეულ საქართველოს დასახმარებლათ.

### ინგლისის მუშათა პრესა საქართველ. შესახებ.

ინგლისის პრესაში დიდ განცვიფრებას იწვევს ის უმსგავსოება, რომელსაც სჩადიან კომუნისტები საქართველოში, როცა ამოდენ კონტრიბუციას ახდევინებენ მათგანვე დამშეულ და გაძარცვულ ხალხს ფულათ, თუ პურის, მატყლის და სხვა სანოვაგის სახით.

ტფილისის რევკომის სათანადო დეკრეტები თითქმის ყველა გაზეთებმა, განსაკუთრებით მუშათა პრესამ, გადაბეჭდა როგორც ნიმუში მათი უმსგავსოების.

### ვ. ჩერქეზიშვილის ინტერვიუ.

ვ. ჩერქეზიშვილის დაწვრილებითი ინტერვიუ საქართველოს შესახებ მოთავსებულია საფრანგეთის სინდიკალისტთა გაზეთ «პოპლ»-ში.

აღნიშნავს რა ინტერვიუში მოთხრობილ ამბების საშინელებას, გაზეთი დასძენს, რომ ამ ველურმა მოქმედებამ საბოლოოთ უნდა აუხილოს თვალი ევროპის მუშებს რუსეთის კომუნიზმის ნამდვილ ბუნების შესახებ. საერთოთ ინტერვიუმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი მრავალმა დემოკრატიულმა გაზეთმა გადაბეჭდა.

---

# სოციალ. პარტიები ევროპაში

---

### ბოლშევიკები და პატარა ერთა თვითგამორკვევა.

როგორ ეპყრობიან ბოლშევიკები ერთა თვითგამორკვევას, ეს აშკარა გახდება შემდეგი ფაქტიდან:

ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურ წრეებში თვალსაჩინო როლს თამაშობდა ენგელბერგ კუჩერა, რომელიც პრაგის კომუნისტებმა მოსკოვში გააგზავნეს ბოლშევიკებისთვის ცნობების მისაწოდებლად და ფულების გამოსათხოვათ. კუჩერა გაერია რუსეთში მიმავალ ტყვე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებში, რუსის პასპორტით აღჭურვილი და მივიდა მოსკოვში. მან დიდი სამსახური გაუწია აქ ბოლშევიკებს და უკანასკნელთაც გაუხსნეს მას გული და უთხრეს, რაც განზრახვები ქონდათ ჩეხო-სლოვაკიის მიმართ. კუჩერას პროლეტარულმა სვინდისმა ვერ აიტანა ის, რაც მას უთხრეს და ახლა აქვეყნებს თავის თავგადასავალს; აი რას სწერს ის «პრავო ლიდუ»-ში, რომელიც ჩეხო-სლოვაკიის სოც.-დემ. ცენტრალური ორგანოა:

«მე ვიყავი რწმენით მიმდევარი კომუნიზმის, რომლისთვისაც ჩემი სიცოცხლე არ მშურდა. მე ჩემის ნებით შევედი წითელ არმიაში. ორჯერ ჩაუვარდი ტყვეთ კაზაკებს სამხრეთის ფრონტზე. როგორც კომუნისტურ კომისარს, მე ერთხელ სიკვდილი მქონდა მისჯილი: სულ 4 საათის სიცოცხლე მქონდა კიდევ დარჩენილი, როცა წითელმა არმიამ გამათავისუფლა... მე ღრმათ ვიყავ დარწმუნებული, რომ კომუნისტურ ბელადებს სურდათ თავის იდეების განხორციელება პატიოსანი საშვალებით.

მაგრამ მე ყველგან ვხედავდი მხოლოდ ცინიზმს და ადამიანის სიცოცხლის აბუჩათ აგდებას. მე შევიტყვე პლანები, მიმართული ჩვემი ერის წინაამდეგ. მე დავრწმუნდი, რომ ამ გეგმების განხორციელება დიდ ვნებას მოუტანდა არა მარტო ხალხს, არამედ მთელ მუშათა კლასს ჩემი ქვეყნისას».

და აი კუჩურა მიდის ბელა-კუნთან და ეუბნება, რომ ჩეხო-სლოვაკიაში არ შეიძლება კომუნისტური რევოლიუციის მოხდენა. მარა ბელა-კუნი უპასუხებს: «თქვენ უნდა მოახდინოთ რევოლიუცია, ჩვენ მოვითხოვთ ამას. თქვენ უნდა მოახდინოთ ის იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც არავითარი იმედი არ იყოს გამარჯვების. ჩვენ უკვე გამოგიგზავნეთ ამ მიზნით აუარებელი ფულები».

მარა ეს კიდევ არაფერი. როცა კუჩერა შეელაპარაკა ამის გამო, კიდევ უფრო უარესი პასუხი მიიღო:

«ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკა ხელოვნური ქმნილებაა, რომელიც უნდა გაქრეს ევროპის ქარტიდან. ამ მუშაობისთვის ჩეხო-სლოვაკიის ბოლშევიკებს უკვე მიეცათ სასყიდელი».

რამდენია ეს სასყიდელი ამაზე მოგვითხრობს შემდეგი ცნობები:

1921 წლის 9 მარტს გაეგზავნა ბერლინის კომუნ. ც. კას—შიფრიანი დეპეშა შემდეგი შინაარსის: ნაწილი იმ 5 მილიონი კრონიდან, რომელიც გადმოეცა კომუნისტურ ინტერნაციონალს ჩეხო-სლოვაკიაში ფარულ აგიტაციის ხელმძღვანელ კომიტეტისთვის, გადაეცით ამ კომიტეტის წარმომადგენელს, რომელმაც იცის პაროლი პრაგა-ბრნო». ი. კომ. მაგიერ ბელა-კუნი.

ამ ფულის გარდა მოიტანეს ბრილიანტები და ოქროს ნივთები: სინკოვმა, გულომ, ზაპოტოცკიმ და სხვ. შტეინმა მოიტანა 5000 გირ. სტერლინგი და 83,500 გერმ. მარკა. თან ბელაკუნი უმატებდა: «თუ საჭირო იქნება კიდევ ფული ზოგიერთ გაუბედავ რედაქტორების მოსასყიდათ, მოითხოვეთ ბერლინიდან და იმავე წუთში გამოგეგზავნებათ».

ასეთია კომუნისტური მოძრაობის წყარო. ასეთია კომუნისტების მუშაობა. ჩეხო-სლოვაკიის ს.-დ. აქვეყნებს ამ დოკუმენტებს და მოუწოდებს ხალხს დააფასოს ეს მოსყიდულები. ქართველი ხალხიც უნდა დაუკვირდეს ქართველ კომუნისტებს: რამდენი ოქროს ჭუჭყი აკრავს მათ ხელსა და ჯიბეს? მაგრამ აღმოჩნდება მათში ერთი გულწრფელი კუჩერა მაინც, რომ პროლეტარული სვინდისი გამოიჩინოს? ვეჭვობთ...

## ვაშინგტონის კონფერენციის საკითხი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებს ერთი ნიშნობლივი თვისება აქვთ: როცა საომარი კონფლიქტი წამოიჭრება, საზავო კონფერენციის მოწვევას შეუდგებიან, მშვიდობიანობის მოციქულათ გამოსვლას იწყებენ.

ამ ჟამათ მსოფლიო ეკონომიური ცხოვრების მთავარი ცენტრი ომით გაძარცულ და დასუსტებულ ევროპიდან წყნარ ოკეანეს ნაპირებზე გადადის. და მსოფლიო კონფლიქტების ახალი კვანძიც იქ ინასკვება.

ომმა აურაცხელი სიმდიდრე მიანიჭა ამერიკის შეერთებულ შტატებს. იგი აივსო მილიონებით, იქ ფულის ტევა აღარ არის; ოქროს ფული ისე გამრავლდა, რომ ქაღალდის ფული მაზე მეტი ფასობს, რადგან უფრო ადვილი საზიდავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი ეს ქვეყანა ეძებს ახალ გზებს, ახალ ასპარეზს თავის ეკონომიური ძლიერების მოსახმარათ, თავის თანხების ასამოქმედებლათ. ცნობილილოზუნგი «ამერიკა ამერიკელებისთვის» და ევროპის საქმეებში ჩაურევლობა დღეს უკვე ხანგადასული ლოზუნგებია. მათ თავის დრო მოჭამეს. ამერიკა ახლა სხვის შემოსევას კი აღარ უფრთხის, არამედ თვით აპირებს სხვაზე შესევას. იგი ევროპაშიც მოქმედებს, აზიასაც ხარბი თვალით უცქერის. დიდი დემოკრატიზმის ყველა იდეები მან დღეს მილიარდერების სავაჭრო სამრეწველო ინტერესებს ანაცვალა. მაღლიდი ტრესტების ქვეყანა ფიქრობს მკვიდრათ მოიკიდოს ფეხი ძველსა და ახალ კონტინენტზე. დღეს მისი ქველმოქმედი საზოგადოებები პურით და დახმარებით შედიან აღმოსავლეთის ქვეყნებში, მიდიან რუსეთშიც, ევროპაშიაც, სინჯავენ ყველგან ნიადაგს, ეცნობიან ქვეყანას, აცნობენ თავს, და პოულობენ ერთგვარ გავლენას.

მარა მთავარი და მახლობელი კვანძი შეერთებულ შტატების ინტერესებისა ძევს შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირის და ჩინეთის ნაპირებზე, და მათ მახლობელ კუნძულებზე.

მაგრამ ამავე ადგილებს ცხოველის ინტერესით შესჩერებია და ხარბათ ეწაფება ამომავალი მზის ქვეყანა—პატარა იაპონია, ეს აღმოსავლეთის ინგლისი. იგი თავის კუნძულებიდან უკვე რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ გადმოვიდა მკვიდრათ აზიის დიდ ხმელეთზე და კორეის და კვანტუნის ნახევარ კუნძულებს ჩასჭიდა ხელი. ძნელიც იყო შეჩერება ამ კულტურულ ხალხის, რომელმაც გასაოცარ განვითარების, ასე ვთქვათ, გაევროპიელების გზა გაიარა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და თანამედროვე ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვში ჩაიწერა რუსეთის დამარცხების შემდეგ. მისი მცირე ტერიტორია ვერ იტევს 50 მილიონიან მცხოვრებთ და ზედმეტ მცხოვრებთ ძალაუნებურათ ერეკება მახლობელ ტერიტორიების ჯერ ეკონომიურათ და შემდეგ პოლიტიკურათ დასაპყრობათ. იგი თვით ამერიკასაც წვდება, მაგრამ იქ შესვლა აუკრძალეს ყვითელ-კანიანებს, რომელთა რიცხვში მოხვდა იაპონელებიც.

ცხადია, ეს ხელს არ შეუწყობდა მათ შორის კეთილგანწყობილების დამყარებას. და მართლაც ამ ორ სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის აღინიშნა დღეს დიდი ისტორიული კონფლიქტი, რომლის მთავარი კვანძია წყნარ-ოკეანეზე ბატონობა. ამერიკა—თავის ტერიტორიაზე არ უშვებს დღემდე იაპონელებს, ხოლო თვით ხელს იწვდის აზიის ნაპირებისკენ. იაპონია ამ თავგასულ ხელის-წვდას ვერ ინელებს და ამერიკაში შეუშვებლობასაც ეროვნულ ღირსების დიდ დამცირებათ თვლის.

ამ რიგათ კონფლიქტის წყარო მზათაა. და საეჭვოა იგი უიარაღოთ გადაწყდეს. ამიტომ ამერიკა გაალმასებული ემზადება საზღვაო გეგმების განსახორციელებლათ და ახალ ზე-დრედნოუტებს უშვებს ზღვაში. პანამის არხის გაყვანის შემდეგ, რომლითაც ატლანტის ოკეანე გადაება პირველ ყოვლისა შეერთ. შტატებისთვის უახლოესი გზით წყნარ ოკეანეს, ასეთი საზღვაო აშენებლობა საკვირველათ არ უნდა გვეჩვენოს.

იაპონიაც დიდ სამზადისშია. იგი გრძნობს, რომ ახალი ქვეყნის დიდი სახელმწიფოს გაძლიერება მას უმზადებს საფრთხეს. და თვითონაც ზედრედნოუტების მზადებაშია გართული. ახალი 8 ზედრედნოუტი და 8 კრეისერი—ასეთია დღეს გამოქვეყნებული მისი საზღვაო პროგრამა.

და აი ასეთ პირობებში შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარტინგი იწვევს ვაშინგტონში ყველა განათლებულ ქვეყნების კონგრესს, რომელზედაც უნდა გადაწყდეს საკითხი საერთო და განსაკუთრებით საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის. ამასთანავე უნდა მოგვარდეს ზოგიერთი სადაო საკითხები, რომელთაც შეუძლია მშვიდობიანობას რაიმე მხრით საფრთხე მოუმზადონ.

მიზანი თავის-თავათ მოსაწონი და მისაღებია, როგორც მოსაწონი იყო წინანდელი პრეზიდენტის ვილსონის წინადადება ერთა ლიგის შესახებ, რომელსაც საბოლოოთ უნდა მოეღო ბოლო ყოველგვარი ომიანობისთვის.

მაგრამ ჩვენ ვიცით უკვე, რა ბედი ეწია ამ პირველ პრეზიდენტის წინადადებას. ერთა ლიგა შესდგა და თუმცა მასში გამარჯვებულ ქვეყნებს გარდა ნეიტრალური ქვეყნებიც მიიღეს, მაგრამ დამარცხებული ქვეყნები დღემდე მის გარეშე არიან დარჩენილი და საერთოთ იგი ანტანტის სრულ გავლენას ემორჩილება თავის ყოველ სერიოზულ ნაბიჯში.

ვაშინგტონის კონფერენციასაც უკვე ამ თავითვე ეტყობა ნიშნები იმის, რომ დიდათ ნაყოფიერი მისი მუშაობა ვერ იქნება.

მრავალმა ევროპის სახელმწიფომ უდაოთ და სიამოვნებით მიიღო ჰარტინგის წინადადება, მაგრამ ესევე არ ითქმის ინგლისსა და იაპონიაზე. ამ ორი სახელმწიფოსათვის აქ რთული კვანძი აღმოჩნდა გასახსნელი. იაპონია ერთხანს თითქოს სულ არ აპირებდა ამ კონფერენციაზე დასწრებას, ყოველ შემთხვევაში მოითხოვდა წინასწარ ზოგიერთ ნაბიჯებს შეერთ. შტატებისაგან, როგ. მაგ. იაპონელებისთვის კარების გახსნას ამერიკაში ისე, როგორც სხვა უცხოელებისთვის და აგრეთვე იმას, რომ ზოგიერთი კუნძულების საკითხი, რომელიც შტატებს სადაოთ მიაჩნიათ, სრულიად არ დასმულიყო კონგრესზე.

უკანასკნელი ცნობით იაპონიას სურს მას დრო მისცენ თავის საზღვაო პროგრამა შეასრულოს, ხოლო ამერიკამ საომარ მზადებაზე ხელი აიღოს და მხოლოდ ასეთ პირობებში მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაზე.

ინგლისიც საჭიროთ ცნობდა ამერიკაში წასვლამდე წინასწარი თათბირი ქონოდა ლონდონში ამერიკის წარმომადგენელთან ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევათ. დიპლომატიის მოჰახრაკებული ენა ჯერ-ჯერობით აშკარათ არ აცხადებს, რაზე და რა უნდა გადაწყდეს წინასწარ თათბირზე, მაგრამ ეჭვი არაა აქ აღმოსავლეთში გავლენის სფეროს განაწილებაში უნდა იყოს საქმე. იგიც უნდა ითქვას, რომ ინგლისს არ სურს იაპონია-ამერიკის შორის კონფლიქტი გაჩაღდეს. იმიტომ რომ იაპონია ინგლისის მოკავშირეა, რომელთანაც ხელშეკრულება ერთი წლით მაინც გააგრძელეს ამ ხანებში, ხოლო მისი კოლონიები, როგორც ამერიკაში, ისე ავსტრალიაში, არ ფარავენ თავის სიმპატიას ამერიკისადმი და კატეგორიულათ აცხადებენ, რომ იაპონიასთან კონფლიქტში, თუ ასეთს ადგილი ექნა მომავალში, ისინი ამერიკის მხარეზე იქნებიან.

ამ კოლონიებთან უკანასკნელი თათბირის შემდეგ, რომელიც მოხდა ინგლისში, და რომლის შედეგათ კოლონიებს დიდი პოლიტიკური როლი ენიჭება ინგლისის საგარეო პოლიტიკაში, ასეთი განცხადება დიდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. და აი ლოიდ ჯორჯის მთელი პოლიტიკური გამჭრიახობა დღეს მიმართულია იქითკენ, რომ არც ძველი მოკავშირე დაკარგოს და არც ამერიკა გაანაწყენოს.

ბევრი უკვე წაგებულათ თვლიდა ლოიდ-ჯორჯის საქმეს ამ საკითხში, მაგრამ ამის გადაჭრით თქმა დღეს დღეობით შეუძლებელია გამოქვეყნებული მასალის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში კონგრესი ამ შემოდგომაზე უნდა მოხდეს და მაშინ გამოირკვევა მისი კონკრეტიული სახე. ერთი კი შეიძლება ახლავე ითქვას: ბურჟუაზიულ ქვეყანას ნამდვილი ზავისთვის არ აქვს სერიოზული საშვალებები და იგი ომის მუდმივ საშიშროებას ვერ ააცილებს კაცობრიობას.

უკანასკნელად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ამ კონგრესზე მიწვეული არაა, თუმცა რუსეთის ინტერესები დიდია აღმოსავლეთში. ჩიჩერინმა, როგორც ვიცით, მწვრალი ნოტა გაუგზავნა ამის გამო შეერთ. შტატების მთავრობას, მაგრამ გამოძახილი ვერ პოვა. და სანამ რუსეთში ბოლშევიზმი იქნება, იგი ყოველთვის გარიყული დარჩება. იგი შესძლებს მხოლოდ შიგნი დაანგრიოს ქვეყანა, გარეთ კი ბურჟუაზიული სახელმწიფოები გაინაწილებენ თავიანთ შორის მის ინ-ტერესებს...

---

# ტრიანონის ხელშეკრულება.

(ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტი)

ომმა 5 წელიწადი აფორიაქა ქვეყანა, მშვიდობიანობის დამყარება და სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთგვარ გარკვეულ კალაპოტში ჩაგდება, მგონია, კიდევ უფრო დიდ ხანს არყევს, აფორიაქებს მას. არ იქნა, არ მოხერხდა ზავის განხორციელება.

ვერსალის ზავზე თვით მოკავშირეთაც ვერ შეუმუშავებიათ საბოლოოთ საერთო შეხედულება, და ყოველ კითხვის გამო იშლებიან ერთმანეთში და რევენ დაინტერესებულ სახელმწიფოებსაც, რომელნიც იარაღის ჟღარუნსაც არ ერიდებიან. სევრის ხელშეკრულებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. იგი დღემდე მხოლოდ ქაღალდზეა და ოსმალეთში დღესაც მხოლოდ ფაქტიური მდგომარეობაა, რომელიც იარაღმა შექმნა და იარაღზევეა დამოკიდებული. ახლა ტრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონის ხელშეკრულებასაც იგივე ბედი ეწია. მას არ სცნობს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სცნობს, მარა არ ასრულებს უნგრეთი.

ამ ხელშეკრულების ძალით უნგრეთს, ერთი დასავლეთი ნაწილი თავის ტერიტორიის, რომელიც ძველათაც უნგრეთში შედიოდა, სახელათ ბურგენლანდი, ავსტრიისთვის უნდა გადაეცა ამა წლის 29 აგვისტოს.

ეს დროც დადგა, მაგრამ გადაცემაზე არავინ ფიქრობდა. ანტანტის კომისიამ, რომელსაც ამის შესრულებისთვის უნდა ედევნებია თვალყური, თვითონ დაიწყო ორჭოფობა. მან გადასაცემი ზონა ორათ გაყო და 29 აგვისტოს მხოლოდ ერთი ნაწილის დაჭერის ნება მისცა ავსტრიას. მაგრამ წათამამებულმა უნგრეთის რეაქციონურმა მთავრობამ, რომელსაც ადმირალი ხორტი მეთაურობს, არც ამ ნაწილის დათმობა მოისურვა. და აი სცენაზე გამოვიდა ამ ბოლო დროს ევროპაში გახშირებული საშვალება: მცხოვრებლების აჯანყება. ავსტრიიდან საოკუპაციოთ შემოსულ ჟანდარმერიას (ავსტ. ჯარი ანტანტამ თითქმის სულ დაშალა) აჯანყებულებმა, რომელნიც ფაქტიურათ შედგებოდენ უნგრეთის ოფიცრების და ჯარისკაცებისაგან, წინაალმდეგობა გაუწიეს და უკანვე გარეკეს. ესეც არ იკმარეს და ავსტრიის ტერიტორიაზე შეიჭრენ, ზოგიერთი სოფლები და პუნქტები ხელთ იგდეს და ასე ავსტრიას ფაქტიურათ ომი გამოუცხადეს.

მოკავშირეთა დიპლომატებმა 8 ენკენისთვეს ნოტა გადასცეს ამის გამო უნგრეთს, რომელსაც მოსთხოვეს დაუყონებლივ წესიერების აღდგენა, იგიც დაპირდათ, რასაკვირველია, მაგრამ წესიერების ნაცვლათ ორი დღის შემდეგ «ბანდების» გამოსვლა უფრო ძლიერი სახით განმეორდა.

ავსტრიის კანცლერი შობერი უშედეგოთ ხარჯავდა სიტყვებს და ნოტებს მოკავშირეთა წინაშე. მართალია დაიწყო ლაპარაკი მცირე ანტანტის გამოსვლის შესახებ, მარა მოკავშირეებმა ეს უხერხულათ იცნეს; შემდეგ ამბობდენ იტალიის ჯარის გაგზავნაზე წესიერების აღსადგენათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იტალიას არ აქვს არავითარი სურვილი ეკზეკუციის ამსრულებლის როლში გამოვიდეს თავის მეზობლებთან. მაშ ვინ აასრულებს? თვით უნგრეთი თავის ახალ ნოტაში ირწმუნება, რომ მას სურს წესიერების აღდგენა, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა პატრიოტულ აღტყინებას თავი ვერ მოუარა, ვერ დააშოშმინა... ერთი სიტყვით «ხალხის» წინააღმდეგ წასვლა არ სურს. ან როგორ ესურვება, როცა ეს «ხალხი» მის ყაზარმებში იწვრთნებოდა და იარაღდებოდა სწორეთ ამ საქმისთვის და როცა მათ უნგრეთის ყოფილი მინისტრი ფრიდრიხი მეთაურობს? უნგრეთი მის გამოწვევასაც ვერ ახერხებს აღელვებულ რაიონიდან, და კანონს ეფარება, ის დეპუტატია და თუ უნდა, შეუძლია ბურგენლანდშიაც წავიდეს, თუმცა ტრიანონის ხელშეკრულების წინააღმდეგიაო.

ასე და ამ რიგათ უნგრეთი ძალაზე დგას, რადგან მას ჯარი ყავს, რომელიც რეაქციონერობის გულისთვის დაუტოვეს მას აქამდე, ავსტრია კი უიარაღოა და ამიტომ ყვირილის მეტი არაფერი დარჩენია.

ამ ბოლო დროს მოსული ცნობებით მცირე ანტანტის სახელმწიფოები თვით აპირებენ ზომების მიღებას უნგრეთის თავხედობის წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიამ სანაპიროები გაამაგრა და ზოგიერთ პუნქტებში ჯარს თავი მოუყარა. გაზეთების სიტყვით აპირებენ ჯერ ეკონომიური ბლოკადის გამოცხადებას: რკინის-გზის და ფოსტა-ტელეგრაფის შეწყვეტას. ამ ბლოკადის მონაწილეთ იქნებიან: ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, რუმინია, იუგოსლავია.

ამ რიგათ დიდი ანტანტის ნამუშევარი ახლა მცირე ანტანტას უხდება ხელახლა საკეთებლათ.

## საბერძნეთ-ქემალისტების ომი

ანატოლიის ბედი ერთხელ კიდევ შეტრიალდა. ქემალ ფაშამ თავის პირადი ხელმძღვანელობის ქვეშ დააყენა ოსმალთა ჯარი და დიდი ხნის უკან-უკან ხევის შემდეგ ერთი მედგრათ შემოუტია ანგორას მიახლოვებულ ბერძნების ჯარს. ანატოლიის უგზო-უკვლო მთა-ღრეებში ომის წარმოება არც ისე იოლია და თანამედროვე გაუმჯობესებულ საომარი ტეხნიკით სარგებლობა არც ისე ადვილი მოსახერხებელია, რომ ტეხნიკის უპირატესობაზე დაყრდნობილ ბერძნების ჯარს უეჭველათ გამარჯვება მოეპოვებია. ეჭვი არაა რუსეთის დახმარების და როგორც ამბობენ, ფრანგების თანაგრძნობის მიუხედავათ, ქემალის ჯარი შეიარაღებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამუნიციით დიდათ ჩამოუვარდებოდა ბერძნებისას. ამ უკანასკნელთა ხელში იყო ბრძოლის ინიციატივაც. მაგრამ მიუხედავათ ამისა ფრონტის გაჭიანურებამ და თავის მთავარ ბაზაზე—სმირნაზე დაშორებამ, დიდათ შეასუსტა მათი შეტევითი ძალა. უგზოობამ მოუსპო საშვალება ამუნიციის და ყველა იარაღების მიტანის და გამოყენების. ოსმალეთის ჯარისთვის კი ეს საკომუნიკაციო ხაზი შემცირდა, ის თავის შინ იბრძვის, რის გამო ენტუზიაზმიც მეტი აქვს და თავგანწირვაც. სახუმრო საკითხი ხომ არ არის! ანგორის დაკარგვით—ქემალი კარგავს თითქმის საშვალებას სერიოზულ წინააღმდეგობისას. დაბეჯითებით ამბობდენ, რომ ანგორის დაკარგვას უნდა მოყოლოდა ან ომის შეწყვეტა, ან პარტიზანულ ბრძოლაზე გადასვლა. ერთიც და მეორეც ფაქტიურათ სრული დამარცხებაა სახელმწიფოსი, როგორც ასეთის. ასე რომ ანგორის დაცემასთან ერთათ დაეცემოდა ოსმალეთიც.

ქალი და კაცი, ყველა ფეხზე დადგა; სწორეთ აღსანიშნავია, რომ არა ერთი ქალი გამოვიდა სახალხო ტრიბუნათ ომის მქადაგებლის როლში. და ყველა ამან შექმნა ის ძლიერი სულიერი განწყობილება, რომელმაც ზემოაღნიშნულ პირობებში ერთხელ კიდევ დაახევინა უკან საუცხოვოთ მოწყობილ და შეიარაღებულ ბერძენთა ლაშქარს.

მდინარე საქარიაზე გადასვლის შემდეგ ბერძნებმა თავდაპირველათ მთელი რიგი ქალაქები და გამაგრებული პუნქტები აიღეს, და ანგორას დაუახლოვდენ. მაგრამ აი სწორეთ მაშინ, როცა თავის მთავარ პოზიციებს დაშორდენ, მათ შეხვდათ საშინელი კონტრ-ატაკები ოსმალების ჯარის. რამდენიმე დღის გაათვთრებულ ბრძოლის შემდეგ ბერძნები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ და მდინარე საქარიის აქეთა ნაპირზე უკანვე გადმოსულიყვენ. უკანასკნელი ცნობებით ოსმალთა ლაშქარი ფეხდაფეხ მოყვება ბერძნებისას და მდ. საქარია ზოგ ადგილას კიდეც გადმოლახა.

ამ უკანდახევის დროს ბერძნის ჯარი, რა თქმა უნდა, საგრძნობლათ გაილახა, მაგრამ მის საბოლოო დამარცხებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება ამ ჟამათ. ამას არც ქემალის ცნობები ამბობენ. პირიქით ქემალის მოწოდების კილო და შინაარსი მოწმობს, რომ მიუხედავათ გამარჯვებისა მათი ძალები საკმაო არ არის, რომ გამარჯვების შედეგებით ისარგებლოს და მტერს ცილზე გასდიოს. ტყვეების დაჭერის და იარაღის შესახებაც მხოლოდ ცნობილი სიტყვებია ნახმარი: ბევრიაო, მათი რიცხვი კი აქამდე არ გამოქვეყნებულა. ყველა ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ბრძოლა გადამწყვეტ ბრძოლათ ვერ ჩაითვლება. მოწინააღმდეგენიც ასე უსურებენ საქმის მდგომარეობას და ამიტომ ახალი გადამჭრელი შეტაკებისთვის ემზადებიან. საბერძნეთში 40 წლამდე გამოცხადდა მობილიზაცია და 22 წლის მოსაწვევი ახალგაზრდებიც დაიბარეს. ქემალმაც საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ბრძოლა გამწვავებული, სამკვდრო-სასიცოცხლოა; მაგრამ გვგონია, რომ ამ ჟამათ ორივე მხარემ მიაღწია უმაღლეს წერტილს თავის შესაძლებლობისას, ორივე მხარემ გამოიწვია უკვე მთელი ერის ძალები და ამიტომ მახლობელ თვეებში ერთ-ერთ მახლობელ დიდ ბრძოლაში უნდა გადაიჭრეს ომის ბედი საბოლოოთ, თუ ზამთრის სიცივეებმა არ არ მოუსწრეს და არ შეანელეს მისი მსვლელობა, ან ევროპის სახელმწიფოები არ ჩაერიენ უფრო ენერგიულათ და გადაჭრით ზავის ჩამოსაგდებათ, ვინემ ეს დღემდე იყო. ევროპაში კი პრესა უკვე მოითხოვს მოკავშირეთაგან ასეთ ჩარევას.

# ქურთების მოძრაობა.

ქურთები განსაკუთრებული ტომია ოსმალეთში, რომელნიც უმთავრესათ მცირე აზიის აღმოსავლეთ ვილაიეტებში ცხოვრობენ. ენით და შთამომავლობით ისინი დიდათ განირჩევიან თურქებისაგან, და მუდამ ქონდათ ერთგვარი მისწრაფება ავტონომიურ არსებობისადმი. მსოფლიო ომის გათავების შემდეგ, ზავის შეკვრის ხანაში, ქურთების წარმომადგენელნი პარიზსა და ლონდონში დიდ ენერგიას ხარჯავდენ, რომ საკითხი ავტონომიის შესახებ საერთაშორისო მასშტაბით დაესვათ.

დღეს, როგორც ოსმალური გაზეთები გადმოგვცემენ, ქურთის მეთაურებს თავის საკი..ხი კვლავ დაუყენებიათ ანგორის მთავრობის წინაშე. მაგრამ ახლა იგინი სრულ დამოუკიდებლობას თხოულობენ.

აი ნუსხა მათი მოთხოვნილების:

1) ოსმალეთმა, ე. ი. ანგორამ უნდა იცნოს ქურთისტანის დამოუკიდე`ლობა.

2) ქურთისტანის საზღვრებს გამოარკვევენ ანტანტის და ქურთების წარმომადგენლები ოსმალეთის ჩაურევლათ.

3) ქურთი მოხელეები, რომელნიც ამ ჟამათ ანგორაში იმყოფებიან, ქემალის მთავრობამ დაუყონებლივ უნდა გაანთავისუფლოს ქურთისტანში დასაბრუნებლათ.

4) ქურთისტანის მთავრობის მოწყობაში ოსმალები არ უნდა ჩაერიონ.

5) სამხედრო გადასახადი, რომელიც ქურთებისგან აიღო ანგორის მთავრობამ, უკანვე უნდა იქნას დაბრუნებული.

6) თურქიაში დარჩენილ ქურთებს უნდა მიეცეს გარანტია ხელშეუხებლობის.

7) ყველა ქურთი აფიცერი, რომელიც ანგორის ჯარში მსახურებს, დაუყონებლივ უნდა განთავისუფლებულ და ქურთისტანში დაბრუნებულ იქნეს.

ანგორის მთავრობის პასუხი ამ საგანზე ჯერჯერობით არ ვიცით, რადგან საკითხი ანგორის ნაციონალურ ცრილობას არ განუხილავს.

მუსტაფა ქემალ ფაშამ კი თავის მხრივ მიიღო უკვე ზოგიერთი ზომები აღმოსავლეთის ვილაიეტების წინააღმდეგ. ქურთი ოფიცრები მისი ბრ`ანებით გადაყვანილ იქნენ სივასში, და მათ იქ უბრალო ზურგის სამსახური დაევალათ. ანგორა ამაგრებს აღმოსავლეთ ვილაიტების ფრონტს. საერთოთ ეს საკითხი ქემალის მდგომარეობას ართულებს და დიდათ აწუხებს ანგორის მთავრობას.

ქურთების ამ მოძრაობას სათავეში უდგას ქურთი მუსტაფა ფაშა, რომელიც ინგლისელებმა დანიშნეს გუბერნატორათ მთელ ქურთისტანში. დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებამ და საერთოთ ანტითურქულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ქურთებში.

# რუსეთის შიმშილობა.

### დახმარების საქმე.

ევროპის საზოგადოებაში დღესაც დავა დახმარების გარშემო არ შეწყვეტილა. უმთავრესათ კამათია იმაზე, თუ რა გზით მიაწოდონ სურსათი დამშეულებს, რომ იგი საბჭოთა კომისრებმა არ დაიტაცონ თავის საჭიროებისათვის. ეს კი მეტათ რთული საკითხი გამოდგა.

ერთი ორგანიზაცია ჰუვერის (ამერიკა) უკვე შეუთანხმდა რუსეთის მართველებს და შეუდგა მუშაობას. მართალია პირველი მატარებელი, რომლითაც სურსათი მიდიოდა, გზაშივე გასცალეს რკინის-გზის დამშეულმა მოსამსახურეებმა და არმიელებმა, მაგრამ ეს არ აჩერებს ინიციატივიან ამერიკელებს. გადასაზიდი საშვალებაც ძალიან მცირეა, რკინის-გზა ვერ მოქმედებს. მაგრამ ამერიკელებმა გამართეს მოლაპარაკება ლოკომოტივების შემოტანის შესახებ ამერიკიდან.

მეორე ორგანიზაცია, საერთაშორისო წითელი ჯვრის, რომლის სათავეში დგას ფ. ნანსენი, ჯერ არ შედგომია პრაქტიკულ მუშაობას. ფ. ნანსენი მოელაპარაკა რუსეთის ხელმძღვანელთ, მიაღწია შეთანხმებას მათთან, დაპირდა 10 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხის მოპოვებას, მაგრამ... ამ სესხის განაღდება წითელმა ჯვარმა პოლიტიკურ საკითხათ ჩასთვალა და იგი ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების გადასაწყვეტათ დასტოვა.

წითელი ჯვარის საზოგადოება უმთავრესათ ეყრდნობა მთავრობების დახმარებას, ხოლო მთავრობები კი გარეშე კონტროლის დაწესებისა შეწირულებაზე ცარს ამბობენ. თავის მხრივ საბჭოთა რუსეთი კონტროლის წინააღმდეგია და ასეთ დაჭიმულ მდგომარეობაშია დღეს საქმე. «საზოგადოებრივ კომიტეტის» გარეკამ ხომ ცეცხლზე ნავთი გადაასხა. ამით შემოწირულების შეკრება ფერხდება. საზოგადოება, რომელმაც არ იცის, მისი შეწირული გაჭირვებულთ მოხმარდება, თუ მათ ჯალათებს, და ამით გულგატეხილია, ბე`რს, ცხადია, არ გაიღებს. ლონდონის მერი (ქალ.თავი) იუწყება, რომ სიტი (სავაჭრო ნაწილი ლონდონის) თითქმის არას იძლევაო.

მუშათა შემწეობა გროვდება, მაგრამ იგი აბა სად გასწვდება აურაცხელ საჭიროებას?

საერთაშორისო კომიტეტმა, რომელიც შედ-

124/6



ეროვნული ბიბლიოთეკა

გება სახელმწიფოთა წარმომადგენლობისან და და საერთაშორისო წითელ ჯვართან კონტაქტით მუშაობს, დაადგინა საანკეტო კომისიის გაგზავნა რუსეთში, მაგრამ ჯერ მოსკოვი მათ მიღებაზე უარს არის.

### რამდენია საჭირო?

ევროპამ დღემდეც არ იცის, რამდენათ დიდი და უსაზღვროა მოთხოვნილება დახმარების. ბოლშევიკების ანგარიშით საჭირო იქნება დამშეულთათვის დაახლოებით 60 მილიონი ფუთი პური. მაგრამ ფიქრობენ, რომ ბოლშევიკები განგებ ამცირებენ ნამდვილ მოთხოვნილების რაოდენობას, რადგან იციან, რომ უბედურების პასუხისმგებლობა ბოლოს და ბოლოს მათ ატყდებათ თავზე. ევროპაში ანგარიშობენ, რომ საჭირო იქნება 2—3 ჯერ მეტი, ვინემ ბოლშევიკები ამბობენ, ესე იგი 80—120 მილიონი. და შეიძლება ესეც არ დარჩეს საკმარისი.

მაგრამ ამ ვარაუდითაც მომავალ მოსავლამდე მცხოვრებთა გამოკვება დაჯდება არა ნაკლებ 2—3 მილიარდი ფრანკისა. ამას გარდა საექიმო დახმარება, სანიტრთა გადაზიდვის საშვალებანი და ორგანიზაცია დახმარებისა გამოიწვევს თავის მხრივ დიდ ხარჯებს, ასე რომ საერთო ხარჯი მათ უწევს 4—5 მილიარდამდე.

რამდენათ მცირეა ამ საჭიროებასთან შედარებით დღემდე გაღებული დახმარება სჩანს იქიდან, რომ ჰუვერის განკარგულებაშია დაახლოვებით 100 მილიონი ფრანკის ღირებულება. ეს კი წვეთია ზღვაში...

### მუშების დახმარება.

მუშათა ორგანიზაციებმა და მათ შორის პროფესიონალურ ინტერნაციონალმა (ამსტერდამის) ვერ აუარეს გვერდი გარანტიების საკითხს. ამ ორგანიზაციებში ეს წამოიჭრა უმთავრესათ საქართველოს გარშემო. საქართველოში რუსები დამპყრობელები არიან. არავის ეჭვი არ შედის იმაში, რომ დახმარება უნდა მოეწყოს ოკუპანტების გარეშე, რადგან კანონიერი მთავრობა საზღვარ-გარეთაა და ხალხის პირდაპირ დახმარება არ შეუძლია. კომუნისტურ მთავრობის ხელით კი დახმარება ხალხთან არ მივა.

ასევე დადგა საკითხი რუსეთის შესახებაც. რუსეთის სოც.-დემოკრატებმა დააყენეს საკითხი დახმარების და თან საჭიროთ დაინახეს, რომ იგი სწორეთ ხალხს მისვლოდა და არა კომისრებს. ამიტომ მუშათა წრეებში გროვდება ფული, მარა მათი გაგზავნა მოხდება მხოლოდ სათანადო გარანტიების ქვეშ.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს რუსეთის დახმარების საქმე ევროპაში.

მართალია ევროპის კომუნისტები მოსკოვის კარნახით შეეცადენ დახმარება პირდაპირ საბჭოთა მთავრობას გაგზავნოდა, მარა მათვინ დაუჯერებს? მათ მოწვეულ მიტინგზე კომუნისტების მეტი არავინ ესწრება და ამიტომ იგინი საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ხოლო მათი შეგროვილი თანხა იმის მეოთხედსაც არ უდრის, რაც მოსკოვს ამათ მოსაწყობათ ეხარჯება...

### რა ხდება რუსეთში?

აუწერელია ის, რაც რუსეთში ხდება შიმშილის ნიადაგზე. მოვიყვანთ მხოლოთ ორიოდე მაგალითს.

შიმშილისაგან გამოქცეულთა ტალღამ მიაღწია რუმინეთის და პოლონეთის საზღვრებამდე, სადაც მათ ჯარის კორდონი არ უშვებს. მათი მდგომარეობა აუწერელია. რუსეთში კი ყველა სადგურები, ყველა გზები სავსეა დამშეულებით, რომელნიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხოცებიან.

აი მაგალ. თვით მოსკოვიშ: ყაზანის, რიაზან-ურალის და ვარშავის ვოგზლებზე ყოველ მატარებელიდან, რომელიც სავსეა წითელ-არმიელებით და მარადიორებით, საიდგანღაც გამოძვრებიან მკბენარებით სავსე, გაბურძგვნილი, ბაიასავით გაყვითლებული ბავშვები. ისინი ავსებენ ამ ვაგზლებს, ყრიან ქვაფენილზე და მოწყალე არვინაა, რომ მიხედოს. ბოლშევიკები ბევრს გაიძახიან რაღაც პუნქტებზე, კომისიებზე და სხვ. საითაც უთითებენ ბავშვებს, მაგრამ ისინი თხოულობენ პურს და სწორეთ პურის მიმწოდებელი არვინაა. რუსეთის მომავალი თაობა წყდება ჩვენ თვალწინ. საშინელი სურათია... დასძენს გაზეთი.